საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 18 ივლისი, 2015 წელი.

№133 (7778)

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

◎ ხმა სურათიდამ!

ილია ჭავჭავაძის პორტრეტის პროტესტი

ჯერ იყო და ჩვენგან, უფრო სწორად, თქვენგან, ხალხისგან, გათავხედებულმა და განერონებულმა თუ გაკალიგულებულმა სააკაანთ ბიჭმა დამკიდა თავის მილიარდიან სრასახლში (დღემდე არც ერთი პატარა ქვეყნის არც ერთ მეფეთ მეფესაც რომ არ აუშენებია ამხელა რამ დევერხინა შენობა გაჭირვებული ხალხის კისრიდან ამოღლეტილი ფულით!) თავისი საიმპერატორო სავარძლის თავზე და ყოველ ვითომ საქვეყნო თათბირ-მოლაპარაკებებს ჩემი თანდასწრებით მართავდა — თავის ანტიეროვნულ, ანტისახელმწიფოებრივ, ავანტიურისტულ მოქმედებებში მიმოწმებდა: **აი, ხომ ხედავთ, ჩემს ყოველ სეფე სიტყვას ჩვენი ერის დიდი მამის, ყველაზე დიდი ქართველის შუბლის ნათელი მიბრწყინებსო**.

ერთი სიტყვით, მეც და სულგანათლებულ დავით აღმაშენებელსაც ძალიან ხშირად გვაწუხებდა და სხვათა ფეხის ხმას საეჭვოდ აყოლილი ჩვენი სახელით თავის ნამდვილ, ტრადიციულ სახეს უკარგავდა ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს.

მე რამდენჯერმე ჩამოვბღვირე, ჩემებურად დავუტიე კიდეც გადაღმელ სტუმრებთან ერთად არცთუ გონივრული გადაწყვეტილებების მიღების დროს. ერთხელ, როცა ბღვერით ვერაფერს გავხდი, გაბრაზებული ნარკოტიკით გაბრუებულს დავესიზმრე და ჩემი სურათის ჩამოხსნა მოვთხოვე, შენს უგუნურ ავანტიურისტულ პოლიტიკაში ნუ მრევ-მეთქი. მე რას გადამეკიდე ბალნეოლოგიურის დირექტორი, მგონი, სულაც პროფესორი მამა გყავს ნიკოლოზი, მოიტანე და იმისი სურათი დაკიდე და თათბირითაც იმას ეთათბირე-მეთქი, მაგრამ გაგიგონია! სად შენა და სად მამაჩემი, ჩემს ისედაც წყალწყალა პოლიტიკას სულ გამიბალნეოლოგიურებს და გამინიორწყლებსო! **მე თავად წყნაროკეანედალეული კი ვარ, მაგრამ თერგდალეულის თანადგომა მჭირდება, თანაც შენისთანა საძართველოს ტოლი კაცისაო**.

> **ერთი სიტყვით, ამ დედმამაშესექსებულს და მერე ისევ გასექსებულს, ვერაფრით ვერ გადავათქმევინე ვერც ჩემი ნაძალადევი თანადგომა, ვერც კიდევ ჩემი სურათი ჩამოვაღებინე, და ვერც თბილისში ნაციონალთაგან მოჭენავე დავით აღმაშენებლის საფლავზე ხალხის თვალის ასახვევი, ნაყალბევი ფიცის დადებაზე ვათქმევინე უარი!**

თუმცა, ბოლოს და ბოლოს, რუსთა მოძულე ამერიკელებს, როგორც იქნა, ოდესაში გადავასროლინე და იქ, ალბათ, ახლა ტარასის სურათს დაიკიდებს, შევჩენკოსას, ეს ავად თანამზრახველ პრეზიდენტ პოროშენკოს გაშიბაქებული ამერიკული ჯილა ნაპრეზიდენტალი.

ეს ნამუსზე ხელაღებული სააკაანთ ბიჭი, როგორც იქნა კი მოვიშორე (კაცმა არ იცის, როდემდე!), მაგრამ ახლა ეს ვიღაც ბარნოვი გადამეკიდა, ანდრო, ეგრეთ წოდებული სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის ეგრეთ წოდებული დირექტორი, უფრო სწორად, სააკაშვილის პოლიტიკური ნაბიჭვარი, რომელიც ისევ ჩემი იმავე პორტრეტის ქვეშ განაგრძობს დამპალი ნაციონალური იდეების პროპაგანდას.

> **ჩემო ქართველო ხალხო, ჩემო ვაჟკაცო ქართველებო, იძულებული ვარ, რომ ისევ თქვენ მოგმართოთ. მე, ილია ჭავჭავაძე, კატეგორიულ პროტესტს ვაცხადებ, რომ თავისი ვითომ ურყევი ეროვნულობის დასამტკიცებლად ყველა პოლიტიკურმა ნაძირალამ და ვიგინდარამ კედელზე ჩამოიკიდოს ჩემი სურათი და ამ სურათის ქვეშ იქადაგოს ერისა და ქვეყნის დამღუპველი შენიღბული ბოროტი აზრები!**

ძალიან გთხოვთ, ჩემო „ბედნიერო ერო“ (რა ვქნა, ჯერ მაინცდამაინც დიდად არ შეცვლილხართ!) ყველა ხელისუფალს თავ-თავისი მამის სურათი დააკიდებინოთ და იმაზე ალოცოთ მანამ, სანამ ჩემს ოთარაანთ ქვრივს რკინის ქალამნები სიმართლის ძებნაში არ გასცვეთია!

მე, ყველა მიწასამოფარებულ წესიერ ქართველთან ერთად, აქ, ქართული მიწის ქვეშაც ვგრძნობ, რა ხიფათი გელით მანდ, მიწისზედა ქართველობას, თუ კვლავაც მხოლოდ სხვათა მოიმედეობით განაგრძობთ გულხელდაკრეფილ ცხოვრებას და ღვთისგან სამოთხედ გოქეგულ მიწა-წყალს თქვენივე გონივრული შრომით ერთხელ და სამუდამოდ სამოთხედ არ გადააქცევთ.

სიზარმაცე და სიღარიბისგან საბოლოოდ მხსნელის ამაო მოლოდინი იგივე სიკვდილია...

ილია ჭავჭავაძის პორტრეტის საპროტესტო ხმა ჩაიწერა

გურამ წიკლაურმა

აჩრდილი დადის საქართველოში, აჩრდილი პროვოკატორებისა ②

სააკაშვილი კი უკვე გაისროდა... ⑧

დღის ამოჯანა ზურიდან

— კარზე კაკუნი მომესმა, გავაღე, ზღურბლზე ანდრონიკ ბარნოვი იდგა, თეთრ სამოსში, დროშის ტარზე დაყრდნობილი, ეკლიანი მავთულხლართის გვირგვინით თავზე, გინდათ გესაუბროთ ჭეშმარიტ ოკუპაციაზეო, მკითხა სათნო ღიმილით ანდრომ...

ვინ იპოვის საცოგ-საძროგს?! ④

საქართველოც გაკოტრების საფრთხის წინაშე იდგა... ③

„საქართველოს მუსლიმანები არა მხოლოდ სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი, არამედ ისლამურ სამყაროსთან ხიდი ხართ“

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი საქართველოში მცხოვრებ მუსლიმებს რამაზანბაირამს ულოცავს. „გულითადად გილოცავთ რამაზან-ბაირამის – უფლისადმი ვალის მოხდის, მოთმინების, სულიერი განწმენდის, ურთიერთთანადგომის უდიდეს დღესასწაულს, ყველაზე ძვირფას დღეს თითოეული თქვენგანისთვის.

მუსლიმი თემი მრავალეროვნული ქართული საზოგადოების განუყოფელი ნაწილია. თქვენი გარჯითა და ქვეყნისადმი ერთგულებით ფასდაუდებელი წვლილი შეგაქვთ ჩვენი სამშობლოს აღმშენებლობაში. თქვენი სიხარული – თითოეული ჩვენგანის სიხარულია. ვუერთდები თქვენს ზეიმს და ბედნიერებას, კეთილდღეობასა და სულიერ სიმშვიდეს გისურვებთ თქვენ და თქვენს ოჯახებს“,– ნათქვამია მილოცვის ტექსტში.

* * *

საქართველოში მცხოვრები მუსლიმანები არა მხოლოდ ჩვენი სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი ხართ, არამედ თქვენ ხართ ხიდი ისლამურ სამყაროსთან, რაც გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, – ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს მუსლიმთა თემს, რომელსაც იფთარზე უმასპინძლა.

მთავრობის მეთაურმა ქრისტიანების და მუსლიმების ისტორიულ მშვიდობიან თანაცხოვრებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველო ტოლერანტობით გამორჩეული ქვეყანაა.

„ჩემო ძმებო, ჩვენ განსხვავებული სარწმუნოება გვაქვს, მაგრამ სწორედ ეს განსხვავებულობა და ჩვენი ძმობა არის ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე. ამის გარეშე საქართველოს არსებობა წარმოუდგენელია. ჩვენი ქვეყანა რელიგიური შემწყნარებლობით და ტოლერანტობით მართლაც გამორჩეულია და ქართული სახელმწიფო პოლიტიკა რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით ემსახურება საზოგადოებაში რელიგიის თავისუფლებისა და ტოლერანტობის, როგორც ფუნდამენტური ღირებულების აღიარებას და მის პატივისცემას“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, რამდენიმე დღის წინ აშშ-ში, ოფიციალური კვლევის შედეგები გამოქვეყნდა, სადაც ნაჩვენებია, რომ საქართველო, რელიგიის თავისუფლების და ტოლერანტობის კუთხით, გამორჩეული და სამაგალითო ქვეყანაა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ რელიგიის სააგენტოს შექმნაზე მუშაობა ჯერ კიდევ ბიძინა ივანიშვილის პრემიერ-მინისტრობისას დაიწყო და ეს სახელმწიფოსა და რელიგიებს შორის ურთიერთობის ყველაზე სწორი ფორმაა.

„სწორედ ჩვენ აღვადგინეთ ჩვენი დიდი წინაპრების ის ტრადიციული მიდგომები მუსულმანების მიმართ, ის ძმობა, სიყვარული და პატივისცემა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში არსებობდა და იარსებებს ჩვენს ქვეყანაში. ვიცი, რომ ევროპის ბევრი ქვეყანა სწავლობს მაგალითს, როგორ ვახერხებთ მშვიდობიან თანაცხოვრებას ქრისტიანები და მუსულმანები. ჩვენ გვაქვს ერთი საიდუმლო და სწორედ ამ საიდუმლოთი ვახერხებთ ასეთ ჰარმონიულ თანაცხოვრებას – ეს სიყვარულია. სადაც სიყვარულია, იქ ღმერთია. ღმერთი აერთიანებს და ჩვენ ყოველთვის ამ სიყვარულის, ურთიერთპატივისცემის გზით უნდა ვიაროთ“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

„მინდა, მთელი გულით მოგილოცოთ დამდეგი რამაზან-ბაირამი. იცოდეთ, რომ მე, როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ყოველთვის თქვენს გვერდით ვიქნები. მინდა, გისურვოთ მშვიდობა, სიყვარული და კეთილდღეობა. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი“, – მიმართა პრემიერმა მუსლიმ თემს.

ანგელა მერკელს დაბადების დღე მიულოცა

ირაკლი ღარიბაშვილი ანგელა მერკელს საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერისა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესში დახმარებისთვის მადლობას უხდის.

„ჩემთვის სასიხარულოა, რომ მეგობრული და მჭიდრო ურთიერთობები საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ვითარდება და ღრმავდება ორივე მხარის ერთობლივი ძალისხმევისა და მიღწევების შედეგად. საქართველოს მთავრობა და ქართველი ხალხი იმედის თვალით შეჰყურებენ თქვენს ვიზიტს საქართველოში. დარწმუნებული ვარ, ეს ისტორიული მნიშვნელობის ვიზიტი კიდევ ერთხელ დაადასტურებს გერმანიის ურყევ მხარდაჭერას საქართველოსადმი, განსაკუთრებით საერთო გამოწვევების არსებობის პირობებში. ეჭვი არ მეპარება, რომ ეს ვიზიტი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საქართველო-გერმანიის ურთიერთობების განმტკიცების საქმეში. თქვენო აღმატებულებავ, გისურვებთ წარმატებას თქვენს საქმიანობაში“, – ნათქვამია ირაკლი ღარიბაშვილის მილოცვაში.

◎ საბანკო სფერო

ცვლილება: არსებითი თუ „დეკორატიული“?

იმის თაობაზე, რომ საქართველოში კომერციული ბანკები, წლების განმავლობაში, თავისი უშუალო ფინანსური მოღვაწეობის გარდა, ბიზნესის სხვა სფეროების მიმართაც იჩენდნენ ინტერესებს და, შედეგად, ზოგიერთ მათგანს მეტად სერიოზული არაპროფილური აქტივები დაუგროვდა, თავის დროზე ბევრი ითქვა. სამეწარმეო სფეროს სხვადასხვა წარმომადგენლები კომბანკების ამ სახეობის აქტივობის მიმართ დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, რაც სავსებით გასაგებია.

საქმე ისაა, რომ, როცა კონკრეტულ კომერციულ ბანკს გარკვეულ სფეროში საკუთარი სამეწარმეო და, შესაბამისად, კომერციული ინტერესები აქვს, იმავე პროფილით მოღვაწე თავის კონკურენტ კომპანიაზე არც შეღავათიანი სესხის გაცემას მოისურვებს, არც რაიმე სხვა ხელშემწყობ გარემოებაზე გაუმართავს მოლაპარაკებას. ამდენად, გასაკვირი სულაც არ არის, რომ ამ შემთხვევაში მრავალი ბიზნესმენი კომერციული ბანკების მიერ არაპროფილური აქტივების ფლობის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოდიოდა და დღესდღეობითაც გამოდის. თანაც ამ შემთხვევაში ბანკების ამ აქტივების წარმომავლობას მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ბიზნესმენები უთანაბრო კონკურენციული ბრძოლისგან თავის არიდებას ცდილობენ.

ყოველივე ზემოთქმული იმის საბაბი გახდა, რომ შარშან, 31 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დადგენილება მიიღო, რომლის შესაბამისად ქვეყანაში მოქმედ კომერციულ ბანკებს მათ საკუთრებაში არსებული არაფინანსური და საფინანსო აქტივები ერთმანეთისგან უნდა გაემიჯნათ. ასეთი შეტყობინება ნოემბრის დასაწყისში, კერძოდ, „საქართველოს ბანკმაც“ მიიღო, რომლის თანახმად მას 2015 წლის მიწურულამდე ეროვნული ბანკისთვის არაფინანსური აქტივების განცალკევების გეგმის წარდგენა დაევალა.

ეროვნული ბანკის გადაწყვეტილების შესასრულებლად, „საქართველოს ბანკის“ მენეჯმენტმა საბანკო, საინვესტიციო, დეველოპერული და სხვა არაფინანსური აქტივების გამიჯვნის გეგმა შეიმუშავა, რომელიც სებ-ს წარუდგინა და მის განხორციელებაზე თანხმობაც მიიღო. ამდენად, ქვეყანაში უდიდესი კომერციული „საქართველოს ბანკი“ უახლოეს მომავალში სამ კომპანიად დაიყოფა. მისი მფლობელის (ჩვეულებრივი აქციების 99,6 პროცენტის) სს „ბიჯეო ჯგუფის“ გადაწყვეტილებით, საბანკო და არასაბანკო აქტივების დაყოფის შედეგად, ბანკს ორი კომპანია გამოეყოფა. თითოეულ მათგანს, მომავალი მოღვაწეობის პროფილის შესაბამისად, ამჟამად „საქართველოს ბანკის“ საკუთრებაში არსებული არასაბანკო აქტივები გადაეცემა.

აღნიშნული რეორგანიზაციის

შედეგად, **„საქართველოს ბანკის“** ადგილზე სამი კომპანია გაჩნდება: თავისთავად დარჩება საკუთრივ სს „საქართველოს ბანკი“, რომელიც მოღვაწეობს ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული და ლიცენზირებულ საქმიანობას არსებული კოდით განაგრძობს ყველა საბანკო რეკვიზიტის შენარჩუნებით.

მეორე იქნება სს **„ბიჯეო ინვესტმენტი“,** რომელსაც „საქართველოს ბანკის“ ჯგუფში ამჟამად შემავალი იმ კომპანიების წილები გადაეცემა, რომლებიც უძრავი ქონების, მშენებლობის, ჯანდაცვისა და მისი დაზღვევის, ზოგიერთ სხვა სეგმენტში მოღვაწეობენ.

მესამეს კი, სს **„ბიჯეო ფაინენშალს“,** „საქართველოს ბანკის“ საკუთრებაში არსებული საბროკერო, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის, საგადამხდელო სისტემებით ოპერატორი, აგრეთვე საინფორმაციო-ტექნოლოგიური მომსახურების კომპანიების წილები.

რამდენად შეუწყობს ხელს ეს ნაბიჯი ეროვნული ეკონომიკის ზოგიერთ სეგმენტში (ვთქვათ, სამშენებლო სექტორში) კონკურენტული გარემოს გაჯანსაღებას, ამას მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ ამ მიმართულებით მოძრაობა რომ უნდა გაგრძელდეს, უდავოა.

ოთარ ტურაბელიძე

◎ „რუსთავი-2“ უბერავს

აჩრდილი დადის საქართველოში,

ყოველგვარი ფილოსოფიურ-ლიტერატურული შესავლის გარეში ვიტყვი, რომ გასული კვირა პროვოკაციებით იყო „გაძეძგილი“. პროვოკაციებით, რომლებიც არა რომელიმე კონკრეტული ჩინოსნის, ან გიორგი ნემსაძის არ იყოს, „ჩვეულებრივი მომაკვდავის“ წინააღმდეგ იყო მიმართული, არამედ ყოფილი ხელისუფლების და ამჟამად მთავარ ოპოზიციურ ძალად წოდებული პოლიტიკური გუნდის მიერ, საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ იყო განხორციელებული.

დავიწყებ ბოლოდან:

ორიოდე დღის წინათ ბიბლიოთეკარი ანდრო ბარნოვი „მიუვარდა“ რუს ოკუპანტებს და ქართულ პოლიციას აგინა.

ფაქტს აღარ აღვწერ, რადგანაც სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებში ყველამ ვნახეთ, თუ რა „ვაჟკაცურად“ იდგა ბიბლიოთეკარი ანდრო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სადარაჯოზე და რა მოკრძალებით უსმენდა მის ბობოქარ სიტყვებს პოლიციის თანამშრომელი, რომელიც, სავარაუდოდ, ერთი ბოთლი ლუდის დალევისა და ცერად გამოხედვისთვის, რიგით მოქალაქეს სულ ცოტა 150-ლარიან ჯარიმას აჰკიდებდა დედის გინებისა და წათაქების თანხლებით.

რა თქმა უნდა, ამ ამბავს საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ყველანი „ილაშქრებდნენ“ ნაცმოძრაობის წინააღმდეგ. ლანძღავდნენ ანდრო ბარნოვს, ბოკერიას და, თქვენ წარმოიდგინეთ, ოდესის ოლქის გუბერნატორსაც კი.

ლანძღავდნენ, აკრიტიკებდნენ, კამათობდნენ, მაგრამ არც ერთს არ დაუსვამს შეკითხვა: **იმ სიტყვებით, იმ ინტონაციით, იმ აგრესიულობით, როგორც ანდრო ბარნოვი ელაპარაკა პოლიციელს, ნებისმიერი ჩვენგანი რომ დალაპარაკებოდა, რას მოიმოქმედებდა ის პოლიციელი?**

დიახ, ის პოლიციელი, რომელმაც მოხუც კაცს თავის თაღში ლუდის დალევისთვის დედა უტირა და ანდრო ბარნოვს მოკრძალებით ებაასებოდა (არა აქვს მნიშვნელობა პირადად ის, თუ სხვა, რადგანაც მას რომ „შეემჩნია“, ისიც ზუსტად ისე დააჯარიმებდა იმ მოხუც ადამიანს).

ვისაც უნდა დავენიძლავები, რომ მაგ პოლიციელს სავარაუდოდ შსს მინისტრი ისევ ან ვანო, ან ბაჩო ჰგონია!

საინტერესოა შსს-ს რეაქცია ამ ფაქტის მიმართ. საინტერესოა, რადგანაც რეაქცია ნულის ტოლია.

უკაცრავად, მაგრამ ისეთი რა „ქსივა“ უდევთ ჯიბეში ამ ნაცებს, რომ ვერავინ ბუზს ვერ უფრენს?

რაც შეეხება „დევგმირ“ ანდრო ბარნოვს, უბრალოდ ვიტყვი, რომ მასზე ჩვენს გაზეთში ჯერ კიდევ 2010 წლის 12 მარტს გამოვაქვეყნე წერილი სათაურით „მიმქრალი შარავანდედი“ (http://www.opentext.org.ge/index.php?m=12&y=2010&art=21932).

საზოგადოებამ ზუსტად ანალოგიურად შეაფასა გიორგი ჯულიეტოვნა გაბუნიას გადაცემა „არჩევანი.“ აგინეს, აფურთხეს, დასცინეს ყველას ოდესის გუბერნატორიდან დაწყებული, თავის გაჭირვებაზე მოსაუბრე პენსიონერით დამთავრებული. გადმოაფრქვიეს თავიანთი რისხვა, დაიცალნენ და მორჩა.

მე კი ვიტყვი, რომ, რაც არ უნდა ვაგინოთ ჯულიეტოვნას, სამშაბათის „არჩევანი“ გაკეთებული (ვიმეორებ „გაკეთებული“) „იყო მაღალპროფესიულად.

მაღალპროფესიულად არა იმიტომ, რომ „რუსთავი 2“-ის მთელი ჟურნალისტური კორპუსი იყო მობილიზებული და მთელი საქართველოდან იყო ჩართვები (ეს პრობლემა არაა. ნებისმიერი მედიასაშუალება, რომელსაც ასეთი ფინანსური და ტექნიკური რესურსი აქვს, ამას თავისუფლად გააკეთებს), არამედ იმიტომ, რომ ის ორი მესიჯი, რომლებიც უნდა მისულიყო მაყურებლამდე – მივიდა! მივიდა სერიოზული საარტილერიო დაბომბვის მსგავსად.

პირველი მესიჯი იყო ის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არც ერთი დაპირება, რომლის გამოც მან არჩევნები მოიგო, არ შეასრულა და მეორე – „სააკაშვილის დრო სჯობდა“.

◎ ბერძნული გაკვეთილები



საქართველოც გაკოტრების საფრთხის წინაშე იდგა...

ბერძენმა ხალხმა რეფერენდუმზე „არა“ უთხრა ევროპის ვალების გასტურმებას, მაგრამ მოგვიანებით ზუსტად იმ შეთანხმებას დათანხმდა, რასაც თავიდან ევროკავშირი სთავაზობდა. საბერძნეთის მხრიდან შანტაჟმა და ლამის კამიკაძეობამ ვერ გაჭრა, რადგანაც ქვეყანა გამოუვალ ჩიხში შევიდოდა.

ხუთ წელიწადში შეიძლება საბერძნეთმა კრიზისი დაძლიოს და უკეთეს ფაზაში გადავიდეს, მთავარია, რა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზები განაპირობებენ წარმატებას ან წარუმატებლობას. საქართველომ ამის გამო შეიძლება დაახლოებით 20 მილიონი დოლარი დაკარგოს, მაგრამ არსებითი გავლენის მოხდენა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე არ შეუძლია, — ასეთია ვარაუდები, რომელსაც ეკონომიკის ექსპერტები აკეთებენ.

ანალიტიკოსთა და მეცნიერთა დარბაზ „დოქტრინასა“ და სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით მენეჯერთა ასოციაციამ შეხვედრა გამართა თემაზე, რომელიც საბერძნეთის კრიზისს მიეძღვნა. შეხვედრას 20/30-ის ექსპერტი, ეკონომისტი მიხეილ დუნდუა უძღვებოდა.

„რა იყო ბერძნების მთავარი პრობლემა? — ჭარბი ვალის აღება და მისი არაპროდუქტული გამოყენება წარმოების სექტორში ინვესტიციების გარეშე, — აღნიშნა მიხეილ დუნდუამ, — **თუმცა, თავიდან ასე არ იყო ჩაფიქრებული“...**

საბერძნეთში არასტაბილურობის შექმნას ექსპერტი 2001-2008 წლებში განხორციელებულ ინიექციებს უკავშირებს, როდესაც არამარტო საბერძნეთში, არამედ თითქმის მთელ მსოფლიოში ფული ძირითადად უძრავ სექტორში კრედიტდებოდა. იზრდებოდა უძრავი ქონების ფასი, ამდენად, ბანკები გასცემდნენ კრედიტებს ქონების უზრუნველყოფით. მსხვილი ბანკები ბიზნესგეგმით ინტერესდებოდნენ, მაგრამ თანდათანობით მათაც ნაკლები ყურადღება მიაქციეს ამ უკანასკნელს და უძრავი ქონებითაც კმაყოფილდებოდნენ. საბერძნეთი კი ის სახელმწიფო იყო, რომლის ბანკებმაც გაბედეს და ყველაზე სარისკო პირებზე გასცეს კრედიტი (როცა რისკი მაღალია, მაღალია საპროცენტო განაკვეთიც და სწორედ ამას დახარბდნენ). ფულს კი გერმანიისა და საფრანგეთის კომერციული ბანკებიდან იღებდნენ. მაგრამ დაიწყო კრიზისი, დაიწყო ქონების დაყადაღება და დაეცა მისი ფასიც. კარგი გადამხდელებიც მიხვდნენ, რომ უკვე განახევრებული ფასის ქონების სესხს ფარავდნენ და უარი თქვეს სესხის მომსახურებაზე.

თავად სახელმწიფოს მიერ აღებული სესხებიც არამწარმოებლურად იყო აღებული, ძირითადად სოციალური პრობლემების და ინფრასტრუქტურის კუთხით იხარჯებოდა, რასაც თავისთავად არ მოჰქონდა მოგება. საბერძნეთის ხელისუფლებამ მიზნად დაისახა სავაჭრო ფლოტის განვითარება, რადგან ამის ტრადიცია ჰქონდა ქვეყანას იმის მიუხედავად, რომ არანაირ რესურსს არ ფლობდა. საბოლოო ჯამში საბერძნეთს სერიოზული კრიზისი დაუდგა.

სამწუხაროდ, საქართველო 2008-2012 წლებში ისე იქცეოდა, როგორც საბერძნეთი. მთლიანი საგარეო ვალი 7 მილიარდით გაიზარდა. 2008 წელს 4,5 მილიარდის დახმარება მიიღო ქვეყანამ, აქედან 1,5 მილიარდი გრანტის სახით. ყველაზე დრამატული იყო სახელმწიფოს მხრიდან 2012 წელს აღებული სესხი, რომელმაც წმინდა საგარეო ვალი მილიარდი დოლარით გაზარდა

ზოგიერთი ექსპერტი კიდევ უფრო შორს წავიდა. მაგალითად, გთსუ-ს პროფესორი **ამირან თავართქილაძე** ამბობს, რომ **„35 წელიწადი საბერძნეთს სოციალისტები მართავდნენ და სულ უფრო და უფრო პოპულისტურ ნაბიჯებს დგამდნენ, რამაც ქვეყანა თითქმის დეფოლტამდე მიიყვანა (საპენსიო ასაკი 57 წლიდან იწყება; გარდაცვლილის პენსიას იღებს მემკვიდრე, თუ დაოჯახებული არ არის; მოქალაქეებს 40 წლამდე უფასო განათლების მიღების შესაძლებლობა აქვთ). იმედია, კოალიციური მთავრობა, რომელთა შორის ულტრამემარჯვენეები არიან, ამგვარი უაზრო ხარჯების თავიდან აცილებას შეძლებენ“,** — ვარაუდობს ექსპერტი.

რა გამოცდილება შესძინა ევროზონას ბერძნულმა გაკვეთილებმა? — მსოფლიო ეკონომიკის განვითარება შეცდომებზე ხდება, ის თავისი შეცდომებით სწავლობს. არ შეიძლება საბანკო სექტორში თამაში და მაღალ განაკვეთებზე დახარბება... ამიტომაც ახლა ისეთი ინტენსივობით აღარ გასცემენ იაფ სესხებს, როგორც ეს 2001-2008 წლებში ხდებოდა.

ზოგადად, სესხი საშიში არ არის. მაგალითად, იაპონიას მთლიანი შიგა პროდუქტთან მიმართებაში 250 პროცენტის საგარეო ვალი აქვს აღებული, მაგრამ ისეთ გრძელვადიან პროექტებში აქვს ჩადებული ინვესტიციები, რომ მეტსაც აიტანს. ამ ქვეყანას „ნოუ-ჰაუსა“ და ტექნოლოგიურ ინოვაციებში ბადალი არ ჰყავს. ამ დროს საბერძნეთის მშპ-ის 177 პროცენტმა საგარეო ვალმა ქვეყანა დეფოლტის წინაშე დააყენა...

ჰგავს თუ არა საქართველო საბერძნეთს? — ექსპერტები ამ ორი ქვეყნის ეკონომიკას შორის ბევრ პარალელს ავლებენ. მიხეილ დუნდუას თქმით, **„სამწუხაროდ, საქართველო 2008-2012 წლებში ისე იქცეოდა, როგორც საბერძნეთი. მთლიანი საგარეო ვალი 7 მილიარდით გაიზარდა. 2008 წელს 4,5 მილიარდის დახმარება მიიღო ქვეყანამ, აქედან 1,5 მილიარდი გრანტის სახით. ყველაზე დრამატული იყო სახელმწიფოს მხრიდან 2012 წელს აღებული სესხი, რომელმაც წმინდა საგარეო ვალი მილიარდი დოლარით გაზარდა და უკვე საგარეო ვალი მთელი ეკონომიკის 20 პროცენტს შეადგენდა. რომ არ აგვეღო ვალი? — სავალუტო კრიზისი მაშინვე დაიწყებოდა“.**

2013 წელს ეს მაჩვენებელი განახევრდა. სახელმწიფომ 900 მილიონი დოლარი გაისტუმრა, ვალებსაც ნაკლები ინტენსივობით იღებს, თუმცა, ლარის გაუფასურების ფონზე, დოლარში აღებული სესხების შემცირება რთულია. **„ეს აღებული ვალები ქვეყნის ეკონომიკას და წარმოების განვითარებას რომ მოხმარდებოდა, მათი გასტუმრება უმტკივნეულო პროცესი იქნებოდა,** — აღნიშნავს მიხეილ დუნდუა, — **ვალის დაფარვა ისე დავიწყეთ, რომ სესხიდან მოგება არ მიგვიღია. საქართველოც 2008-2012 წლებში გაკოტრების საფრთხის წინაშე იდგა. ყველა წინაპირობა იყო შექმნილი იმისთვის, რომ საბერძნეთის მსგავსი კრიზისი დაწყებულიყო“.**

საქართველოსა და საბერძნეთს შორის მსგავსება ისიცაა, რომ სპეკულაციური ინვესტიციები ხორციელდება. თუნდაც მშენებლობის სექტორში ჩადებული ფული, რომელსაც გრძელვადიანი ეფექტი არა აქვს. უძრავი ქონება ქვეყანაში მოგებას არ ტოვებს. ვთქვათ, ინვესტორმა ჩადო, 100 მილიონის ინვესტიცია? ორ წელიწადში გაყიდის ბინებს და უკან 150 მილიონი გააქვს. ბინა კი რაა? — მას წარმოება არ შეუძლია!

ასე რომ, საქართველომ და მისმა ხელისუფლებამ სხვის მაგალითზე უნდა ისწავლოს. ამირან თავართქილაძე მიიჩნევს, რომ **„რიგის სამიტზე გამოყოფილი 2 მილიარდი დოლარიც არ არის ცოტა თანხა... მაგრამ, თუ იმავე მეთოდებით დაატრიალეს, როგორც ადრე, მოგებას ვერ მოგვიტანს. რა იმედი შეიძლება გვქონდეს? როცა ელემენტარულად, ქვეყანამ ვერ შეძლო ბენზინის საბიუჯეტო ხარჯების შემცირება.** ამ დროს ესტონეთშიც კი მთავრობა 2-ჯერ ნაკლებ ბენზინს ხარჯავს, ვიდრე ჩვენთან. სხვა ამბავია, რომ ზოგადად საწვავის ფასმა მთელ მსოფლიოში დაიწია, ჩვენთან — არა“...

თეა ბოსია

აჩრდილი პროვოკატორებისა

რაც შეეხება იმ მოსაზრებებს, რომ „რუსთავი 2“-ს ტყუილი არ უთქვამს, რომ საქართველოში ყველაფერი ძალიან ცუდადაა, უბრალოდ ვიტყვი, რომ ნებისმიერ სახელმწიფოში, ქალაქში, სოფელში, უბანში და ოჯახშიც კი, ყოველთვის მოიძებნება უკმაყოფილო ადამიანი. ყოველთვის მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელიც ვერ ახდენს თავისი თავის სრულად რეალიზებას და ამის გამო სულ ცოტა, განაწყენებულია. ყოველთვის მოიძებნება ისეთი ადამიანი, რომელსაც დახმარება სჭირდება, რომლის მატერიალური თუ ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან ცუდ დღეშია.

და აქვე იბადება ერთი ძალიან საინტერესო შეკითხვა: ვინ უნდა დაუპირისპირდეს ნაციონალური მოძრაობის მიერ დაწყებულ ამ მართლაცდა მასშტაბურ პიარ კამპანიას? რა შესაძლებლობებით უნდა მოახერხოს მმართველმა გუნდმა მათ მიერ განხორციელებული პროექტების წარმოჩენა, მაშინ, როდესაც დღეს მთელი ელექტრონული მედია-სივრცე ანტისახელისუფლებო განწყობთ მუშაობს, ხოლო ის პარლამენტარები თუ ე.წ. ჟურნალისტები, რომლებმაც ხელისუფლებასთან ჩახუტება მოახერხეს, საზოგადოების თვალში უკვე საკმაოდ გამარგინალებულნი არიან.

დღეს ფაქტობრივად არ არსებობს თავისუფალი მედიასივრცე. არ არსებობს რეალობის ორი მხრიდან გამშუქებელი მედიასაშუალება. ერთი მხრივ ამის გამართლება შეიძლება იმით, რომ ე.წ. ოპოზიციას ხელისუფლებაში დაბრუნება სურს და, ბუნებრივია, რომ ისინი მათ ხელთ არსებულ ყველა საშუალებას მაქსიმალურად გამოიყენებენ. ხელისუფლება კი შიშის ქვეშაა, რადგანაც ვერ გამოსულა „Со мной Шанаев спал“-ის სინდრომიდან. მათ ჰგონიათ, რომ, თუ რომელიმე ე.წ. ჟურნალისტი ყვითელი პრესის (რომელშიც თავად ის ტიპები იხდიან ფულს) თუ სხვადასხვა შოუში მონაწილეობის წყალობით ე.წ. „ცნობადი სახეები“ გახდნენ, მათ გარშე დედამიწა აღარ ბრუნავს. ეს კი დაბალი ინტელექტის და უგემოვნობის მაჩვენებელია.

ასე რომ, ხელისუფლებას მოუწევს გადახედოს იმ გუნდს, რომელსაც სურს საკუთარი პიარი გაახმოვანებინოს (ამ შემთხვევაში მოქმედ ჟურნალისტებზე მაქვს საუბარი) და რეალურად შეხედონ იმათ, ვინც ამაყად აცხადებს „Со мной Шанаев спал“-ო!

წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მომავალი არ მეჩვენება მაინცადამაინც გაფურჩქნილად.

დიახ, ნამდვილად ვერ ვხედავ, რადგანაც მმართველ პოლიტიკურ გუნდს არა აქვს უნარი სწორად მოახდინოს გაკეთებული საქმეების პიარი. არა აქვს, რადგანაც ისინი თვლიან, რომ, თუ ვინმე ე.წ. ჟურნალისტი „შანაევთან იწვა“, მორჩა, ის არის ქართული პრესის ღერძი და ქართულმა პრესამ აუცილებლად მის გარშემო უნდა იბრუნოს.

არა აქვს რეკლამების განთავსების სწორი პოლიტიკა.

აბა გაიხსენეთ მთავრობის მიერ გასული ორი წლის განმავლობაში გაკეთებულ საქმეებზე გასული ვიდეორგოლი, რომელიც „რუსთავი 2“-ზე გიგი უგულავას უკანონო პატიმრობაზე გადაღებულ ვიდეორგოლსა და ეკა კვესიტაძის გადაცემის ანონსის შუაში ტრიალებდა? ხომ ხვდებით როგორ ჩაიკარგებოდა ის პატარა ბატკანი, ამ ორ ნიანგს შორის? გაიხსენეთ იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის მიმართვა ჯულიეტოვნასადმი: „მე ძალიან მომწონს თქვენი გადაცემა“ და ამ ფრაზის შემდეგ მიაწყდა „რუსთავი 2“-ს იუსტიციის სამინისტროს სხვადასხვა „ქვედანაყოფის“ რეკლამები. გაიხსენეთ პოლიციის აკადემიის სარეკლამო რგოლი, რომელიც მულტფილმ „ქერის უბნის“ წინ გადიოდა, ხოლო იმ მულტფილმში შსს მაშინდელ მინისტრს ყველა ბრუნვაში ატრიალებდნენ.

აქ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ჩემს მიერ ჩამოთვლილი რეკლამების განთავსების დაფინანსება ბიუჯეტის, ანუ ჩვენს ხარჯზე ხდება. ასე რომ, გამოდის ჩვენ ვუხდით ხელფასებს ჯულიეტოვნას, ნანუკას, ინგას დ.ა.შ.

გეკითხებით: გინდათ ეს?

მე პირადად არ მინდა. ხოლო ქალბატონ წულუკიანს თავისუფლად შეუძლია თავისი მსუყე ხელფას-დანამატიდან ნებისმიერი თანხა გადაუხადოს უნდა „რუსთავი-2“-ს და უნდა ტელეკომპანია „ჩხირიმელას“.

გასაგებია, რომ „რუსთავი-2“, „იმედი“, „მაესტრო“ კერძო საკუთრებებია და უნდათ თურქულ სერიალს გაუშვებენ და უნდათ „ბასტი-ბუბუს“, მაგრამ საზოგადოებრივი მაუწყებელი? დიახ, საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც ისევ და ისევ ჩვენი თანხებით ფინანსდება, კვლავ პროვოკატორი ნაცების ხელშია.

მოკლედ რომ ვთქვა, თუ ასე გაგრძელდა, დღევანდელ მმართველ გუნდს 2016 წლის არჩევნებში საკმაოდ ჭაკად ექნება საქმე.

გია გაბრიჭიძე

„დასაცობებული“ დედაქალაქი

რამდენიმე მოსაზრება თბილისის მაგისტრალებზე არსებული მდგომარეობისა და მისი შეძლებისდაგვარად გამოსწორების შესახებ

„იმგზობას და ამგზობას ქალაქშია ყაბზობა“
თბილისური ფოლკლორიდან



მოსახლეობის ავტომობილიზაციის დონის ამაღლების, ქალაქის ცალკეულ უბნებში დასახლების სიმჭიდროვის უკონტროლო ზრდის, საგზაო ქსელის, საინჟინრო ნაგებობათა განუვითარებლობის პირობებში, უახლოეს მომავალში კიდევ უფრო გართულდება მაგისტრალებზე არსებული მდგომარეობა, შემცირდება მოძრაობის სიჩქარე. გამორიცხული არ არის ცალკეულ მაგისტრალებზე მოძრაობის პარალიზებაც. ამ დროს კი არ გვაქვს ქალაქის განვითარების გენერალური გეგმა, უახლოესი მომავლისთვის მოსახლეობის განსახლებისა და რაოდენობის საპროგნოზო მონაცემები, მისი მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის, შესაბამისად სამგზავრო ტრანსპორტზე მოთხოვნის, ავტომობილიზაციის ტემპის, მისი გაჯერების, მაგისტრალებზე მოსალოდნელი სატრანსპორტო ნაკადების და სხვა მაჩვენებლების შესახებ. ამ მონაცემების გარეშე კი შეუძლებელია მაგისტრალების, სატრანსპორტო კვანძების დაპროექტება, მშენებლობა და მათი რიგითობის განსაზღვრა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, ძირითადი ყურადღება გადატანილი უნდა იქნას ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციის სრულყოფაზე. ამ თვალსაზრისით მისასალმებელია საკრებულოს წევრის შალვა ობგაიძის ინიციატივა მერიაში ტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციაზე პასუხისმგებელი სტრუქტურის ჩამოყალიბების შესახებ. თუმცა, შეიძლება ესეც არ აღმოჩნდეს საკმარისი და საჭირო გახდეს, მთავარი არქიტექტორის პოსტის ანალოგიურად, ქალაქის მთავარი ინჟინრის თანამდებობის შემოღება (აღნიშნულის თაობაზე ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში საუბრობდნენ სპეციალიტები). მთავარი ინჟინრის ფუნქცია იქნება საგზაო მოძრაობასთან დაკავშირებული ყველა საკითხის, მათ შორის, საერთო სარგებლობის სამგზავრო ტრანსპორტის კურირება და მას დაეკისრება პასუხისმგებლობა ქალაქში არსებულ მდგომარეობაზე. მასთან უნდა შეთანხმდეს მშენებლობის, მიწისქვეშა კომუნიკაციების რემონტის და სხვა ნებისმიერი სამუშაოს წარმოების ორგანიზაციის პროექტები. მთავარი ინჟინერი უშუალოდ უნდა დაექვემდებაროს ქალაქის მერს. დროთა განმავლობაში ქალაქის ყველა პრობლემა მოგვარდება, ერთადერთი სატრანსპორტო პრობლემაა, რომელიც მომავალში კიდევ უფრო დამძიმდება, ბოლომდე მისი გადაწყვეტა ჯერჯერობით განვითარებულმა ქვეყნებმაც ვერ შეძლეს.

ცნობილია რომ, სატრანსპორტო ნაკადების თეორია ეფუძნება სითხეების მოძრაობის კანონზომიერებებს; თუ ნაკადები გადაადგილდებიან პარალელურად ანუ დინება ლამინარულია, მაშინ სიჩქარეების განაწილების სურათი სინუსოიდურია – ცენტრში მაქსიმალური ამპლიტუდით, ხოლო თუ ნაკადები კვეთენ ერთმანეთს, დინება ტურბოლენტურია – ამპლიტუდის სიდიდე მცირდება და სიჩქარე ცენტრში ნაპირებთან არსებულისგან დიდად არ განსხვავდება. ანალოგიურად, მაგისტრალზე მოძრაობის წესების დაცვით, სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობისას ცენტრში – მესამე ზოლში სიჩქარე მაქსიმალურია, ხოლო ტროტუარის მიმდებარე პირველ ზოლში – მინიმალური. მოძრაობის წესების დარღვევით ზოლიდან ზოლში გადასვლის მასობრივ შემთხვევებში კი როდესაც ნაკადები ტურბოლენტურია, ამპლიტუდის სიდიდე მცირდება და მესამე ზოლში ნაკადის სიჩქარე ტროტუარის მიმდებარე ზოლის სიჩქარისაგან დიდად არ განსხვავდება... რასაკვირველია, შესაბამისად მცირდება გამტარუნარიანობა. მაგისტრალზე თავისუფალი მოძრაობის პირობებში ოპტიმალურად ითვლება მოძრაობის სიჩქარე 58კმ. საათში, სიმჭიდროვე – 31 მანქანა კმ-ზე, ინტენსივობა – 1800 ერთეული საათში ერთ ზოლზე.

აღნიშნული პოზიციიდან თუ გავაანალიზებთ ქალაქის მაგისტრალებზე შექმნილ მდგომარეობას, მათი გამტარუნარიანობის შეზღუდვისა და საცობების წარმოქმნის მიზეზები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ:

პირველი – ეს არის საგზაო სატრანსპორტო დისციპლინის დაბალი დონე, რაც განაპირობებს ნაკადების მოძრაობის ტურბოლენტურ ხასიათს და კანონების აღსრულებისადმი ჩვენი ინდიფერენტული დამოკიდებულებით აიხსნება. მსუბუქი მანქანების მძღოლები ხშირად მოძრაობის წესების დარღვევით გადადიან ზოლიდან ზოლში, ამას ემატება აღურიცხავი რაოდენობის მსუბუქი ტაქსებისა და 2500-მდე სამარშრუტო ტაქსის სამეწარმეო საქმიანობის არაორგანიზებული ხასიათი. ყოველდღიურად სამარშრუტო ტაქსები მაგისტრალებზე 25-26 ათასამდე რეისს ასრულებენ. ერთ რეისზე მათ სულ მცირე 10-12-ჯერ მაინც უხდებათ სატრანსპორტო საშუალების შეჩერება მგზავრის ასაყვანად ან ჩამოსასმელად, რაც განაპირობებს, უმეტეს შემთხვევებში, მოულოდნელი მანევრით მე-3, მე-2 ზოლიდან პირველ ზოლზე გადასვლას (ხშირად მეორე ზოლზევე აჰყავთ მგზავრები). ეს კი, თავის მხრივ, იწვევს უკან მომავალი ტრანსპორტის მოძრაობაში შეფერხებებს. ანალოგიურია მდგომარეობა მსუბუქი ტაქსებით მოსახლეობის მომსახურების შემთხვევაშიც. მსუბუქი და სამარშრუტო ტაქსების მძღოლთა ძირითადი ყურადღება მიმართულია არა სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობაზე, არამედ პოტენციურ მგზავრთა ძებნაზე. დარღვევათა ამ რიგს უნდა მივაკუთვნოთ ფეხით მოსიარულეთა მიერ მოძრაობის წესების დარღვევით მაგისტრალის გადაკვეთა ნებისმიერ ადგილზე, რასაც მასობრივი ხასიათი აქვს და რაც ხშირად იწვევს მანქანის დამუხრუჭებას ან გადასვლას სხვა ზოლში.

მეორე – ეს ეხება ტრანსპორტის მოძრაობისათვის განკუთვნილი გზის სავალი ნაწილის შევიწროებას; სავალ ნაწილზე მანქანების პარკირება, ავტობუსების გაჩერებები ჯიბეების და ნახევარჯიბეების მოწყობის გარეშე, ორმოები და თავახდილი ჭები, ნაგვის ჩასაყრელი კონტეინერების განთავსება გზის სავალ ნაწილზე, რაც ეწინააღმდეგება მოძრაობის უსაფრთხოების კანონის მოთხოვნებს და ქალაქგეგმარებით არ არის გათვალისწინებული, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობაზე. მოძრაობაზე გავლენას ახდენს აგრეთვე მაღაზიების მომარაგება სატვირთო მანქანებით დღის, განსაკუთრებით პიკის საათებში, ნაკადის არაეთგვაროვნება – მანქანების განსხვავებული ტექნიკური მახასიათებლები, მძღოლთა კვალიფიკაცია, გარემო და ა.შ.

როგორც პრესიდან გახდა ცნობილი, **საცობების შემცირებისთვის უცხოელ სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ აუცილებელია მუნიციპალური ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესება, თბილისის მუნიციპალურ ტრანსპორტზე (ავტობუსი, მეტროპოლიტენი) ქალაქში გადაყვანილ მგზავრთა საერთო მოცულობიდან 50%-იც არ მოდის, მაშინ როდესაც მათი ზიდვისუნარიანობის მხოლოდ 60%-მდეა გამოყენებული.** უპირატესობა ენიჭება მცირე ტევადობის სამარშრუტო ტაქსებს. მათზე მოდის მგზავრთა გადაყვანის 50%-ზე მეტი, ქალაქგეგმარების ნორმებით კი 8-14% არ უნდა აღემატებოდეს. გეგმარების თავისებურებებიდან გამომდინარე, მეტროპოლიტენი დამოუკიდებლად ხელმისაწვდომია მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილისთვის, მისი სრულყოფილად გამოყენება შეუძლებელია ავტობუსებთან კოორდინირებული მუშაობისა და შესაბამისი სატარიფო პოლიტიკის გატარების გარეშე. გაჩერებებზე საინფორმაციო დაფის დამონტაჟება საქმეს ვერ შველის, ავტობუსებმა უნდა იმოძრაონ გრაფიკის დაცვით და ინტერვალი 5-7 წუთს მაინც არ უნდა აღემატებოდეს.

აუცილებელია განხორციელდეს სამგზავრო ტრანსპორტის მართვის სისტემის რეფორმა, გაუქმდეს შუალედური უფუნქციო რგოლები, მეტი ყურადღება დაეთმოს მუნიციპალურ გადამზიდავებს – მეტროპოლიტენს და საავტობუსო ტრანსპორტის საწარმოებს ხელი შეეწყოს ელექტროავტობუსების წარმოების დაწყებასა და ავტობუსების სამარშრუტო ქსელის განვითარებას. უწინარესად საცხოვრებელ მასივებში უნდა აღდგეს მოკლე საავტობუსო მარშრუტები მეტროს უახლოეს სადგურებამდე 10-15-თეთრიანი ტარიფით, რაც გაზრდის მუნიციპალური ტრანსპორტის რენტაბელობას და მოსახლეობას შეუმსუბუქებს სატრანსპორტო ხარჯების ტვირთს. გამოიყოს მაგისტრალების ცალკეულ გადატვირთულ მონაკვეთებზე ავტობუსების მოძრაობისათვის განცალკევებული ზოლები, შემოღებულ იქნას ავტობუსებისთვის ექსპრესული და ნახევრადექსპრესული მოძრაობის რეჟიმები და მიენიჭოს მათ შუქნიშანზე გავლის უპირატესი უფლება, რაც აამაღლებს მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურების დონეს.

სამგზავრო ტრანსპორტის მოწესრიგება, რაც მერიის უფლებამოსილებაა, მოითხოვს ყველა სახის საქალაქო ტრანსპორტზე, მათ შორის სამარშრუტო ტაქსებზე, ტარიფებისა და მომსახურების ნორმების საკრებულოზე დამტკიცებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მერია ამ ფუნქციას ვერ შეასრულებს. სამარშრუტო ტაქსებზე უნდა აღმოიფხვრას ფარული ეკონომიკა, დამონტაჟდეს ავტობუსებში არსებული ტიპის სალაროები, მგზავრზე გაიცეს ბილეთი. მძღოლის მიერ ნაღდი ფულის აღების შემთხვევაში იგი დაჯარიმდეს ისევე, როგორც მაღაზიის გამყიდველი – უჩეკოდ საქონლის გაცემისას. აიკრძალოს ფეხზე მდგომი მგზავრების გადაყვანა, ან დაშვებულ იქნას შესაბამისი კანონის მიღების შემდეგ. საკრებულომ უნდა დაადგინოს მსუბუქი ტაქსის ეკიპირების წესი, რა მარკის და რა ხნოვანების მანქანებს მიეცემათ ტაქსად მუშაობის უფლება, განისაზღვროს ტარიფი და აიკრძალოს დაპლომბილი ტაქსომეტრის გარეშე მანქანის მუშაობა. ეს აუცილებელია არა მძღოლის დაბეგვრისთვის, არამედ მგზავრისთვის, რომელიც არ უნდა ევაჭრებოდეს მძღოლს მგზავრობის საფასურზე და დამატებით პრობლემას არ უნდა უქმნიდეს ტრანსპორტის მოძრაობას, აგრეთვე მერისთვის, რომელსაც უნდა ჰქონდეს რეალური ინფორმაცია ამ სფეროში პროცესების სამართავად. არ არის აუცილებელი, ტაქსომეტრები მივყიდოთ მძღოლებს, იგი შეიძლება გაიცეს ქირით.

საცობების გამომწვევ მიზეზებს ზოგან ლოკალური ხასიათი აქვს, მაგალითად, მეტრო ახმეტელთან, სადაც ორგანიზაციული ღონისძიებების გატარებით შეიძლება მათი აღმოფხვრა, ზოგან კი პრობლემა მოიცავს შედარებით ვრცელ ტერიტორიას, რაც აუცილებლად საჭიროებს კვლევების ჩატარებას და, შესაბამისად, მოძრაობის ორგანიზაციის პროექტის დამუშავებას. თუ ქალაქის მასშტაბით გვაქვს პრობლემა, უწინარესად, საჭიროა გაანალიზდეს საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სამუშაოს დაწყების დრო. შესაძლოა, პიკის საათის გახანგრძლივებამ მოხსნას პრობლემები. ეს გაცილებით იაფი დაუჯდება ბიუჯეტს, ვიდრე ცალკეული სატრანსპორტო კვანძების მშენებლობით პრობლემის მოგვარება. საჭიროა გაანალიზდეს სანაპიროების ცალმხრივ მოძრაობაზე გადაყვანის საკითხიც, რასაც ითვალისწინებდა მეორე სატრანსპორტო კომპლექსური სქემა და, მასთან დაკავშირებით, მოძრაობის ორგანიზაციის შეცვლა ქალაქის მასშტაბით. ცნობილია, რომ ცალმხრივ მოძრაობაზე გადაყვანისას გამტარუნარიანობა მიახლოებით 10%-ით იზრდება.

ზაურ კაჭარავა

◎ მოსაზრება

გიგა ბათიაშვილი ზოოპარკის თბილისის ზღვაზე გადატანის იდეას არ ეთანხმება

არქიტექტორმა გიგა ბათიაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ზოოპარკის გადატანის აუცილებლობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ სასურველია, ქალაქის ეს მონაკვეთი სარეკრეაციო ზონად გადაიქცეს. მისი მოსაზრებით, არავითარი აუცილებლობა არ არსებობს, რომ ზოოპარკი თბილისის საზღვრებში განთავსდეს. არქიტექტორი მიიჩნევს, რომ „ვოლიერების ზოოპარკის დრო მოკვდა“ და ზოოპარკი უნდა იყოს ლანდშაფტში, ზონებად დაყოფილი.

გიგა ბათიაშვილი თბილისის ზღვისა და აეროპორტის ასაფრენი ბილიკის სიახლოვეზე ამახვილებს ყურადღებას და ზოოპარკის აშენების შემთხვევაში, ამ კუთხით მოსალოდნელ ხარვეზებზე საუბრობს.

„თბილისის ზღვის გრძივი ღერძი ერთი ერთზე ემთხვევა აეროპორტის ასაფრენ ბილიკს. ყველაზე მეტად თეორიული საშიშროება თვითმფრინავების დაჯდომის და აფრენის მომენტია. რას ნიშნავს აეროპორტი და თბილისის ზღვა? ასაფრენი ბილიკიდან პირდაპირი მანძილი ძალიან მოკლეა, თვითმფრინავი ჯერ არ არის ასული თავის სიმაღლეზე, საწყის ფაზაში ყველაზე ძლიერად მაქსიმალური ბრუნვებით მუშაობს ძრავი და ხმაურის კოეფიციენტი აღემატება ყოველგვარ დასაშვებ ნორმებს. ცხოველები საოცრად რეაგირებენ, მონადირეებმა ძალიან კარგად იციან, როგორ ხდება ცხოველების დაფრთხობა ხმაურით. თბილისის ზღვის ზეგანი სარეკრეაციო ტერიტორიაა, არის ქარიანი. ეს მომენტები ყველაფერი გასათვალისწინებელია, ამიტომ, ჩემი აზრით, მაინცდამაინც თავის შეწუხება, რომ ზოოპარკი თბილისში ავაშენოთ, არ არის სწორი, შეიძლება მოვძებნოთ ადგილი, სადაც შეიძლება სოფლის მეურნეობისათვის გამოუსადეგარი დიდი ტერიტორიები გამოყენებული იყოს. რაც მეტად დასერილი იქნება, მით უფრო საინტერესო იქნება“, – აღნიშნა გიგა ბათიაშვილმა.

ინტერპრესი

◎ ვითარება

ზედმეტი ტვირთი და არა შემოსავლის წყარო

სახელმწიფო საწარმოები საქართველოში

სახელმწიფო საწარმოების უმეტესობა რომ ქვეყნისთვის კვლავ ტვირთია და არა შემოსავლის წყარო, ამას რამდენიმე დღის წინათ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშიც მოწმობს. დღეს ამ ანგარიშის რამდენიმე მიგნებაზე შევჩერდებით:

მთავარ პრობლემად ის რჩება, რომ 2013 წელს სახელმწიფოს მართვაში არსებული 373 საწარმოდან მხოლოდ 13 % იყო მომგებიანი. არასამთავრობო ორგანიზაციის ინფორმაციით, სახელმწიფოს 51 %-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი 70 საწარმოს მოგება 2011 წელს 152,8 მლნ. ლარს შეადგენდა, 2012 წელს - 12,6 მლნ. ლარს, ხოლო 2013 წელს - 30,9 მლნ. ლარს. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ინფორმაციის თანახმად, 2011 წლის მოგებაში უდიდესი წილი, კერძოდ, 146,7 მილიონი ლარი, ერთ საწარმოზე, შპს სახელმწიფო მომსახურების ბიუროზე, მოდის, რომელმაც აღნიშნული მოგება ქონების გაყიდვიდან მიიღო. მომდევნო წლებში ასეთი პრივატიზება არ განუხორციელებია, ხოლო 2013 წელი 12 მილიონ ლარზე მეტი ზარალით დაასრულა. საინტერესოა, რომ გამოქვეყნების მომენტამდე, ანუ 10 ივლისამდე, სააგენტოს არ ჰქონდა 2014 წლის ეკონომიკური მონაცემები. ყოველ შემთხვევაში, არასამთავრობო ორგანიზაციისთვის მისი მიწოდება ვერ შეძლო.

ამას გარდა, ახალგაზრდა იურისტები ყურადღებას აჩერებენ შემდეგ საკითხებზე:

არ არსებობს რაიმე სპეციალური წესი, რომელიც სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების გამჭვირვალობის თუნდაც მინიმალურ სტანდარტს დაადგენდა.

2014 წლის განმავლობაში სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სულ 52 საწარმოს დირექტორს/ხელმძღვანელს აქვს წარდგენილი ქონებრივი დეკლარაცია, რომლის მიხედვით, მათი შემოსავლები აღნიშნულ პოზიციაზე, ჯამში, 1,455,305 ლარს შეადგენს.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მართვაში არსებულ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოთა აქტივები, ჯამში, 922,265,390 ლარს და 244,5 ათას აშშ დოლარს შეადგენს. მათ შორის ყველაზე დიდი საწესდებო კაპიტალი შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ აქვს, 226,3 მილიონი ლარის ოდენობით, თუმცა, მიუხედავად კაპიტალის მოცულობისა, კომპანიას დღემდე ვებგვერდიც კი არ მოეპოვება.

საქართველოს მთავრობამ 2013-2014 წლების განმავლობაში 20 დადგენილება მიიღო სახელმწიფო შესყიდვების სპეციალური წესის შესახებ. ამ საწარმოთა შორისაა, მაგალითად: სს „საქართველოს ელექტროსისტემა“, სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“, შპს „თბილავიამშენი“, შპს „საქართველოს ფოსტა“, შპს „ენგურჰესი“, შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია“ და სხვა.

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ იმ საწარმოთაგან, რომლებსაც უშუალოდ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო მართავს, 14 აქვს ეთიკის მარეგულირებელი წესები და აწამოებს, ასევე, თვითშეფასების კვლევას, 11 საწარმოში კი მხოლოდ ეთიკის მარეგულირებელი წესებია.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მართვაში არსებულ არც ერთ საწარმოში ამ დრომდე მმართველი რგოლი კონკურსის წესით არ დანიშნულა.

სააგენტო არ ფლობს ზუსტ ინფორმაციას საწარმოებში დასაქმებულ პირთა რაოდენობის შესახებ, რაც საწარმოების მხრიდან ანგარიშვალდებულების სისტემის სისუსტეზე მიუთითებს.

სააგენტოს ინფორმაციით, 2012-2013 წლებში სახელმწიფომ ადგილობრივ თვითმმართველობებს 271 საწარმო გადასცა, ხოლო 27 საწარმო მართვის უფლებით არის გადაცემული სხვადასხვა პირისთვის, მათ შორის, სამინისტროებისა და კერძო კომპანიებისთვის.

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა უმეტესობას არა აქვს ვებგვერდი, არ არსებობს პროაქტიურად გამოქვეყნებული ინფორმაცია განხორციელებული ღონისძიებების, სამომავლო გეგმების, წლიური ანგარიშებისა და სხვა მსგავსი ხასიათის საკითხების შესახებ.

ყველაფერი ეს, ცხადია, სახელმწიფო საწარმოების გაუმჭვირვალობასა და მართვაში არსებულ პრობლემებზე მიუთითებს. ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად საჭირო იქნება, ერთი მხრივ, გასხვისების პროცესის დაწყება, მეორე მხრივ კი, მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა სახელმწიფო საწარმოთა მართვის არსებულ პრაქტიკაში.

ნინო ევგენიძე

◎ კაკალ გულში

წერილოვანი ფრაზები

● **აბა, ბავშვებო, ვინ გამოიცნობს: – იმ სიტყვებით, იმ ინტონაციით, იმ აგრესიულობით, როგორც ანდრო ბარნოვი ელაპარაკა პოლიციელს, ნებისმიერი ჩვენგანი რომ ელაპარაკოს, რა დაემართება?**

● **„დაადგა საშველი ათონელის რეზიდენციას – შენობაში ირინა იმერლიშვილის უწვება გადადის“. სათაური „ალია“-დან.**

ჯერ ერთი, როგორც ვიცი, გუშინ უარი განაცხადა გადასვლაზე, იმ მიზეზით, რომ – „ამ შენობაში სრულფასოვნად ვერ ვიფუნქციონირებდით“-ო (ეპატარავა, ქალბატონს), მაგრამ რომც გადადიოდეს, ეს თუ „საშველია“ და აღარ ყოფილა საშველი!

● **ქსენოფობიაში თუ არ დამადანაშაულებთ, ერთ რამეს ვიტყვი: იმ საქართველოს რა ვუთხარი, შაირ საფაროვი რომ მიწის გადაცემაში ქრთამს მოგთხოვს!**

● **რატომ ამახვილებთ ყურადღებას ან მიშაზე, ან ბარნოვზე? მიშას დედაც და ზევიდან ბარნოვისაც! მე ამ ჩვენს პოლიციაზე ვლაპარაკობ! მოხუც კაცს თავის არკაში პივის დალევის გულისთვის დედა უტირეს და ანდრო ბარნოვს მოკრძალებით ებაასებოდნენ. მაგათ შ.ს.ს. მინისტრი ისევ ან ვანო, ან ბაჩო ჰგონიათ!**

● **ცხინვალიდან გამოქცეულებს, მცხეთამდე რომ უკან არ მოუხედიათ 2008-ში, ის ხალხი ითხოვს ხელისუფლებისგან ტერიტორიების აგრესიულად დაცვას? ომი რომ დაიწყოს ქვეყანამ, ასეთი ხალხის იმედად დაიწყოს?!**

● **აღარ უნდა ამ თემაზე ლაყბობა, ათონელზე უნდა გავხსნათ ბაზრობა.**

● **ე, ბიჭო, მიეცით ამ გოგოს თავისი „დიროლი“, თორემ შავლონდი.**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ინფორმაცია

აპროტესტებენ მრავალწლოვანი მწვანე საფარის გასხვისებას

ნუცუბიძის ქუჩის №77-თან მდებარე საცხოვრებელი კორპუსების მოსახლეობის თქმით, ტერიტორიაზე არსებულ მწვანე საფარის შესანარჩუნებლად და ტერიტორიისათვის რეკრიაციული ზონის მისანიჭებლად მერიის შესაბამის სამსახურებს მიმართეს, საიდანაც დადებითი პასუხი მიიღეს, თუმცა, მოსახლეობის თქმით, რამდენიმე თვეში ტერიტორია გასახვისებლად ეკონომიკის სამინისტროს გადაეცა. მოსახლეობის ინფორმაციით, ტერიტორია დაახლოებით 5 500 კვ.მეტრია.

ნუცუბიძის 77-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებლების ინფორმაციით, იმ შემთხვევაში თუ მერია და საკრებულო ტერიტორიას სარეკრიაციო ზონის სტატუსს არ დაუბრუნებენ, არ გამორიცხავენ საქმესთან დაკავშირებით სასამართლოსაც მიმართონ. ნუცუბიძის ქუჩის მოსახლეობას საკრებულოს ფრაქცია „დემოკრატიული მოძრაობის“ დეპუტატები შეხვდნენ. თამარ ცინცაბაძის თქმით, მათი ფრაქცია პრობლემების მოსაგვარებლად ყველაფერს გააკეთებს.

სემეკმა მოქალაქეებს 70 ათას ლარზე მეტი თანხა ჩამოაწერა

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ საჯარო სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე იმსჯელა. მათი უმეტესობა მოქალაქეებსა და კომპანიებს შორის არსებულ დავებს შეეხებოდა. მათ შორის, ჭარბობდა ხანდაზმული დავალიანებების შესახებ მოქალაქეებსა და სს „თელასს“ შორის არსებული დავები. მთლიანობაში, კომისიის მიერ ჩამოწერილი თანხების საერთო ოდენობამ 70 ათას ლარზე მეტი შეადგინა. სხდომაზე განსახილველად საკითხები წარადგინეს კომისიის მომხმარებელთა საჩივრების დეპარტამენტმა და ენერგოომბუდსმენის სამსახურმა.

ინტერპრესი

◎ სოციალური ქსელი

ინტერნეტისგან დამოუკიდებლად

წინა ორ საუკუნესთან შედარებითაც კი, როცა საკომუნიკაციო სფეროს განვითარების ტემპმა, კაცობრიობის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე არნახულად იმატა, 21-ე საუკუნეში კიდევ უფრო აჩქარებულად ვითარდება. ამის ბოლოდროინდელი ერთ-ერთი შთამბეჭდავი მაგალითია ინოვაციური სოციალური მედია, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებმა ორმა ქართველმა ბაქარ მარუაშვილმა და გიორგი გურგენიძემ დააარსა. მას Deehubs-ი ეწოდება, ინტერნეტზე მიბმული სოციალური ქსელებისგან სრულიად განსხვავებული პრინციპით მუშაობს და მთელი მსოფლიოს მასშტაბით მის მომხმარებელთა რიცხვი დღითი დღე იზრდება.

ახალი სოციალური მედიის არსი ის არის, რომ დღესდღეობით არსებული სოციალური ქსელებისგან განსხვავებით, რომელთა მომხმარებელი ონლაინ-სამყაროთია შემოფარგლული, Deehubs–ი მას საზოგადოებამდე თავის აზრის მიტანის შესაძლებლობას უშუალოდ ქუჩებში დიდ პროექციებზე და ბილბორდებზე გამოქვეყნების შესაძლებლობას აძლევს. ამდენად, ეს ინფორმაციის გავრცელების ახალი საკომუნიკაციო სისტემა ჩვეული მედიასაშუალებებისგან – ბეჭდურისგან რადიოსგან, ტელევიზიისგან და ონლაინ-პლატფორმებისგან – სრულიად განსხვავდება.

თავად Deehubs–ის ავტორთა განმარტებით, კომუნიკაციების უკვე არსებულ ნაცად საშუალებებს მათ ეგრეთ წოდებული „ქუჩის მედია“ მიამატეს, რომელიც მანამდე მხოლოდ რეკლამისთვის გამოიყენებოდა.

– არადა, ქუჩას უდიდესი პოტენციალი აქვს საამისოდ, რომ გაცილებით მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ინფორმაციის მატარებელი გახდეს, – ამბობს ახალი საკომუნიკაციო სისტემის ერთ-ერთი დამფუძნებელი ბაქარ მარუაშვილი.

ბუნებრივია, რომ, ისევე, როგორც ყველა ახალ საქმესა და დიდ წამოწყებას, ახალ სოციალურ მედიასაც სოლიდური ფინანსური უზრუნველყოფა და მხარდაჭერა სჭირდება. ამ შემთხვევაში Deehubs–ის მასშტაბური პროექტის საპილოტე რეჟიმში გაშვების ინვესტორები არიან მსოფლიოში პორტების ერთ-ერთი უდიდესი ოპერატორი DP World-ი და Startup-ის დამაარსებელი მაიკლ ლანნიბსი. ამ ეტაპზე საინვესტიციო მოლაპარაკებების პირველი რაუნდი დასრულების სტადიაშია, რის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების 25 ქალაქში ქუჩის მედია გამოჩნდება. Deehubs-ს უკვე 65 ათასი მომხმარებელი ჰყავს, რაც საწყისი ეტაპისთვის საუცხოო მაჩვენებელია და ქსელის მასშტაბის გასაზრდელად საუკეთესო საფუძველი.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ მომხმარებლისთვის Deehubs–ი უფასო პლატფორმაა და მომავალშიც ასეთად დარჩება, მისი შემოსავალი, ისევე როგორც სხვა მედიასაშუალებებისა, ძირითადად რეკლამა იქნება.

– სხვა ბილბორდებისგან განსხვავებით, ჩვენი ეკრანები და პროექციები გაცილებით უფრო ინტერაქტიური და ინფორმაციულია. მათზე რეკლამა მთელი დღე-ღამის განმავლობაში იქნება წარმოდგენილი, შუალედებში კი, სატელევიზიო პრინციპით, რგოლები იქნება ჩასმული, – ამბობს ბატონი ბაქარ მარუაშვილი.

რაც შეეხება Deehubs–ის პროექტის მასშტაბს, გასაკვირი არ არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარი მის გასაშლელად გაცილებით მეტ შესაძლებლობას იძლევა, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში. ამდენად, როგორც აღვნიშნეთ, ამჯერად დამფუძნებელთა მთავარი მიზანია თავდაპირველად უდიდეს 25 ქალაქში მისი დამკვიდრება. ამ მხრივ ახალი სოციალური ქსელის პირველი, ასე ვთქვათ, „მოედანი“, სადაც პროექციები უკვე მოქმედებს, სიეტლია, ივლისიდან კი ელექტრონული ბილბორდები სხვა ქალაქებში დაიდგმება.

აღსანიშნავია, ისიც, რომ თბილისში Deehubs–ის პროექციები რამდენიმე ადგილას მაისის მიწურულიდან მოქმედებს.

დალი ხუნდაძე

◎ ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

ᲐᲛ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ **ᲡᲘᲚᲕᲐ ᲡᲐᲠᲭᲘᲡᲘᲐᲜᲘ** მკვიდრი თბილისელია.

ქემერტელიძეთა დიდი ოჯახის წევრიც აქ გახდა და, პროფესიით მათემატიკოსი, პედაგოგიურ საქმიანობასაც აქ ეწეოდა. ამჟამად, ძირითადად, გერმანიაში ცხოვრობს და მონატრებულ მშობლიურ ქალაქს, ახლობლებსა თუ მეგობრებს ლექსით ეფერება...

ᲡᲘᲚᲕᲐ ᲡᲐᲠᲭᲘᲡᲘᲐᲜᲘ – ᲥᲔᲛᲔᲠᲢᲔᲚᲘᲫᲔ

სიყვარულმა მათქმევინა

წვიმა

ქალაქს სიცხე აქვს,
იწვის ზაფხული,
მთვარე დარაჯობს
ღამეში ჩაფლული.

წყნეთიდან სიო
ნაზად ჩამჩურჩულებს:
„სიცხე აქვს ქალაქს და
ვერაფრით ვუშველეთ“.

გახსენით ცის კარი,
მოუხმეთ წვიმას!
ქუჩებდანამული
იღვიძებს დილა...

თუ...

ოდესმე მაინც თუ გაგახსენდები,
გული თუ გევსება ოდესმე კვნესითა,
თუ გხიბლავს ისევ ღიმილი ჩემი,
თუ ტკბები ისევ თვალების ფერითა?

მე ჩემთვის ვძერწავდი ნაფერებ ოცნებებს,
ღრუბლები კი ცაზე აჩრდილებს ებრძვიან,
ფიქრები სწვდებიან თოვლიან მწვერვალებს,
ნუთუ ვეღირსები კვლავ ღიმილს ვნებიანს...

თბილისი

მე თბილისი სითბოს მატანს შორ ქვეყნებში,
მისი მზე კი გზა-ბილიკებს მინათებს;
ჯერ არ წასულს შემეპარა თვალში ცრემლი,
ჯერ აქ მყოფი შენთან ყოფნას ვინატრებ...

ᲐᲛᲐᲝᲓ

ფერები უკვდება ძველ ჩანახატებს,
სიმკრთალე ემჩნევა გრძნობებს და ფიქრებს,
ასაკი წარსულს თუ მოგანატრებს,
ჩამოკარ ფანდურის აწყობილ სიმებს.

თუ ისევ ამღერდა გულში გაზაფხული,
ფერები ხალისით კვლავაც აივსება?!
ამაოდ ვცდილობთ ძველის დაბრუნებას,
რაც იყო, იყო და აღარ იქნება.

* * *

ღამე სიზმარს ეფერება,
უმღერს ნაზად იავნანას,
მთვარე ვარსკვლავს ეფიცება,
კვლავაც უძღვნის სერენადას...

* * *

უძილობამ ისევ ჩამომართვა ხელი,
იწელება ღამე უსასრულო, ნელი,
გავათენე თეთრად, მხრებს დამაწვა ტვირთი,
რა მიამბო მთვარემ? – არასოდეს ვიტყვი.

* * *

ამას გთხოვ, გახსენ ერთგული უბე
და ჩამიხუტე, ჩემო დიდუბევ...

ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲔᲑᲐ

გელოდები, გელოდები, გელოდები,
წვეთი წყლისა ყვავილს ისევ გააცოცხლებს,
შემომხედე, შემომხედე, შემომხედე,
გაატანე უნდობლობა ყვითელ ფოთლებს.

ტკივილს ვებრძვი, ტკივილს ვებრძვი, ტკივილს ვებრძვი,
მე მომარჩენს მხოლოდ შენი მოფერება
დამიძახე, დამიძახე, დამიძახე –
ერთგულება კვლავაც გვერდით გეყოლება.

ᲖᲔᲘᲜᲐᲑᲘ

ზეინაბი დამეკარგა –
ჩემი გულის მეგობარი,
ზეინაბი დამეკარგა,
დავარისხე დარდის ზარი.

მელექსე და მეოცნებე,
სიტყვით მტკიცე, სულით ნაზი,
მიპასუხე, ზეინაბო,
ამად გიძღვენ მუხამბაზი?!

ᲛᲐᲓᲚᲘ

ჩემს ოთახს უხდება ყვითელი ყვავილი,
ისევე, როგორც შენს სახეს ღიმილი,
ორთავეს მზის სხივის ალერსი გატყვიათ,
მადლი სიცოცხლისა უხვად დაგნათლიათ.

ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲘ

ზამთარმა თოვლით
დაფარა მთაწმინდა,
მძინარე დათვივით
საბანქვეშ ნებივრობს,
ფიფქების ფანტელთა
ფერხული გახშირდა,
ახალ წელს ზღაპარი
ნაძვებში ზეიმობს.

◎ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ

გელას ბიჭი

ᲐᲕᲢᲝᲑᲣᲡᲘᲡ გაჩერებასთან დიდი ხნის უნახავ მეგობარს შევხვდი. მოვიკითხეთ ერთმანეთი, სტუდენტობის წლებიც გავიხსენეთ. ლაპარაკით გული რომ ვიჯერეთ, ლევანი დამემშვიდობა – აქვე ახლობელთან მივდივარ და ფეხით გავივლიო. ორიოდე წუთიც არ იყო გასული, ერთი ვეფხვივით ბიჭი მეცა, გადამეხვია, როგორ ხართ, ბიძია, ოჯახში ხომ მშვიდობაა, რამდენი ხანია, არ გამოჩენილხართო. უცნობ ყმაწვილს თვალი შევავლე, მოკითხვისთვის მადლობა გადავუხადე და გაკვირვებული სახეში შევაჩერდი – ნეტავ, ვისი შვილია, ჩემი სახელი საიდან იცისმეთქი. მიმიხვდა და უხერხული მდგომარეობიდან თავად გამომიყვანა.

– ვერ მიცანით?.. გელას ბიჭი ვარ...

მაინც ვერ გავიხსენე.

– რა კარგია, რომ შეგხვდით, ბიძია, – არ ცხრებოდა ყმაწვილი. – საფულე დავკარგე და უკაპიკოდ დავრჩი, ხურდა ხომ არ გექნებათ... „მარშრუტკის“ ფული მაინც.

უხერხულად პიჯაკის ჯიბეები მოვიქექე, ლარი და სამოცი თეთრი ამოჰყვა ხელს. მოვუბოდიშე მცირეოდენისთვის.

– არა უშავს, რაც მთავარია, სახლამდე მიმიყვანს. – მითხრა ღიმილით, კიდევ ერთხელ გადამეხვია და გაუჩინარდა.

ის იყო, ნაცნობ-მეგობრებს გონებაში ისევ შევავლე თვალი, რომ მხარზე ხელის შეხება ვიგრძენი. მოვიხედე და...

– ლევან, შენ? არ წასულხარ?

– გელას ბიჭი იყო? – კითხვაზე კითხვა შემომაგება ღიმილით.

– შენ საიდან იცი?

– მეც დამცინცლა ორი ლარი...

სალამ-ქალამი მგზავრობის საფასურად

ᲨᲘᲜ გვიან ვბრუნდებოდი. ბედად, სამარშრუტო ტაქსი გამოჩნდა. გავაჩერე. ის იყო, სავარძელში მოვკალათდი, რომ წინ მჯდომი ახალგაზრდა კაცი მობრუნდა ჩემკენ და მომესალმა. პასუხს როგორ დავამადლიდი. შევატყვე, ნასვამი იყო. ალბათ, ვინმეში შევეშალე-მეთქი, გავიფიქრე.

– საიდან ასე გვიან? – მკითხა ნაძალადევი ღიმილით ბახუსისგან ქუთუთოებდამძიმებულმა.

– სამსახურიდან, – მივუგე უხალისოდ.

– აა... – თავი ძლივს შეიკავა ამობოყინებისგან. – ისევ იქ მუშაობ?

– ჰო, ისევ „იქ“, – ვუპასუხე მოკლედ. მეტის არც თავი მქონდა და არც სურვილი.

– მე კი სხვაგან გადავედი, ორ დღეში დავიწყებ მუშაობას. – ჩამაბარა ანგარიში.

– ძალიან კარგი, – მაინც დავამატე ზრდილობისთვის.

– ოჯახში ხომ კარგად?.. ცოლი, შვილი... – არ მომეშვა უცნობი.

ეს უკვე მეტისმეტი იყო, მაგრამ თავი შევიკავე, რადგან დავრწმუნდი, რომ ვიღაცაში შევეშალე.

– ჰო, არა უშავთ, – ცოტა არ იყოს, აგდებულად ვუპასუხე და ფანჯარაში გავიხედე. ვიფიქრე, ახლა არ გამომკითხოს, მეუღლე სად მუშაობს, შვილები რომელ კლასში არიანო.

ჩემდა ბედად, მძღოლს მანქანა გააჩერებინა.

– აბა, წავედი, კარგად იყავი... თქვენები მომიკითხე, – კიდევ კარგი, საკოცნელად არ გამოიწია, ისე დამემშვიდობა უცნობი და „მარშრუტკიდან“ ჩავიდა. შვებით ამოვისუნთქე.

სასტუმრო „აჭარასთან“ მეც გადმოვედი მანქანიდან და მძღოლს ლარიანი გავუწოდე.

– შენი მეგობრის ფულს ვინ გადაიხდის? – მკითხა გაბურძგნილმა შოფერმა.

– რომელი მეგობრის? – კითხვა შევუბრუნე გაკვირვებულმა.

– ვისაც იმდენი ხანი ეჭუკჭუკებოდი...

– ღმერთი, რჯული, იმ კაცს არ ვიცნობ, პირველად ვნახე.

– გადამრევს ეს ხალხი, – იყვირა მძღოლმა. – ერთი საათი ებაზრა და ახლა ამბობს, არ ვიცნობო. მერამდენედ მიკვეთებენ ასე, – შეიღრინა, ზედ სამსართულიანი „ლოცვა-კურთხევა“ დაამატა, აბაზიანი მომიგდო და ისე მოსწყვიტა მანქანა ადგილს, რომ სიტყვა პირში შემაშრა...

გული დავიმშვიდე – თურმე პირველი არ ვყოფილვარ და, იმედია, არც ბოლო...

ᲕᲐᲟᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ

თუ შიმშილის გრძნობა გაწუხებთ...

ბევრნი, განსაკუთრებით ისინი, ვისაც ჭარბი წონის დაგდება უნდა, ცდილობენ სწორად იკვებონ, დღეში მხოლოდ ორგანიზმისთვის კალორიების საკმარის ოდენობას მოიხმარენ, ამასთან გამუდმებით შიმშილის გრძნობა აწუხებთ.

ამასთან დაკავშირებით ექიმ-დიეტოლოგები ამბობენ, რომ ერთი და იგივე ოდენობის კალორიების მისაღებად, კაცმა შეიძლება შეჭამოს ციდა ნამცხვარიც და ნახევარი კილო კომბოსტოც. შიმშილის გრძნობა ორ ფაქტორს უკავშირდება: სისხლში შაქრის შემცველობასა და კუჭის სისავსეს. ამიტომ ისინი გვირჩევენ, რომ ისეთი საკვები შევარჩიოთ, რომელიც დანაყრების გრძნობას უფრო დიდი ხნის მანძილზე შეგვინარჩუნებს. კერძოდ, ისინი მოცულობით შედარებით დიდი უნდა იყოს, მაგრამ შაქარს უფრო ნელა ათავისუფლებდეს.

როცა კი შიმშილის გრძნობა წარმოგექმნებათ, ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. ამ დროს კაცი ან სწრაფ ნახშირწყალბადებს მოიხმარს, ანდა მათ საერთოდ არ ჭამს, ანდა ძალიან პატარა ულუფებით იკვებება, თანაც არარეგულარულად. ამ დროს ერთობლივი რაციონი შეიძლება იყოს 2 ათასი კილოკალორია, მაგრამ მთელი დღის მანძილზე კუჭი ცარიელი, სისხლში კი შაქარი იქნება. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ დღეში ვიღაცას 2500 კილოკალორია სჭირდება, სხვას კი 1500-იც ყოფნის.

დედის რძის მადლი

ბრაზილიელმა მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ ძუძუთი კვება ერთი წლის განმავლობაში ჩვილების ინტელექტს, საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, ოთხი პუნქტით ამაღლებს.

აღმოჩნდა, რომ ბავშვთა კვებას რძის პროდუქტებთან შედარებით დედის რძეს უამრავი სხვა უპირატესობაც აქვს — იგი საგრძნობლად ამაღლებს იმუნიტეტს და დიდად აუმჯობესებს ბავშვის საჭმლის მონელების სისტემის მუშაობას.

ბავშვი და ინტელექტი

ძვეწყანაზე მშობელი არ არსებობს, თავისი შვილის ჯანმრთელობა და ბედნიერება არ სურდეს, არ უნდოდეს, რომ ის გონიერი და განათლებული, ცხოვრებაში წარმატებული იყოს.

ფსიქოგენეტიკოსები აცხადებენ, რომ ბავშვის ინტელექტი როგორც გენებზე, ისე იმ გარემოზეა დამოკიდებული, რომელშიც ის იზრდება. ამ დასკვნამდე ისინი ერთკვერცხიანი ტუპების კვლევების შედეგად მივიდნენ — ეს ბავშვები, გარკვეულ გარემოებათა გამო, ერთმანეთს დააცილეს და განსხვავებულ კულტურულ გარემოში აღიზარდნენ. ტყუპებს გენოტიპი ერთი კი აქვთ, მაგრამ ინტელექტის დონე კი განსხვავებული. გენები განვითარების დონეს განსაზღვრავენ, ამ საზღვრებში პოტენციალის რეალიზებას კი გარემო უწყობს ხელს. გარემოს მნიშვნელობას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ როცა ისეთ ბავშვებს, რომელთა მშობლები დიდი ჭკუით არ გამოირჩეოდნენ, ისეთ ოჯახებს აჰყავდათ შვილებად, რომლებსაც მათი განვითარებისთვის კარგი პირობების შექმნა შეეძლოთ, ნაშვილევთა ინტელექტის დონე შესამჩნევად იმატებდა.

თევზი, ზეითუნის ზეთი, ახალი ხილ-ბოსტნეული...

მკვლევარებმა 18-დან 85 წლის ასაკამდე 2500 მოხალისის რაციონი შეისწავლეს.

ბერძენმა მეცნიერებმა დასკვნა გამოიტანეს, რომ კვების ზოგიერთი პროდუქტი გულს ფიზიკურ დატვირთვაზე უკეთ იცავს. აღმოჩნდა, რომ მათ, ვინც ყოველ დღე თევზს, ზეითუნის ზეთს, ახალ ბოსტნეულსა და ხილს მოიხმარს, გულის დაავადებათა რისკი 47 პროცენტით უმცირდებათ.

დიეტის სიკეთე

დიეტოლოგები აცხადებენ, რომ დაბალანსებული დაბალკალორიანი დიეტა დაბერების პროცესს ანელებს.

პორტუგალიელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ასეთი დიეტა ორგანიზმის უჯრედებში ისეთ პროცესს „რთავს“, რომელიც მათ შიგნით არსებული ძველი მოლეკულების გადამუშავების დაწყებას აიძულებს. ეს პროცესი უჯრედების მუშაობის შეფერხების აცილების საშუალებას იძლევა და ჰიპოტალამუსის მოქმედებას აუმჯობესებს, რომელიც დაბერების პროცესს აწესრიგებს.

უძრაობის საფრთხე

ცხოვრების მჯდომარე წესს ერთობ საგანგაშო მოშლილობასთან მივყავართ, დაადგინეს ავსტრალიელმა მეცნიერებმა დიკინის უნივერსიტეტიდან, რაც გახშირებული გულისცემით., კუნთების დაძაბულობითა და თავის ტკივილით გამოიხატება.

მეცნიერებმა გააანალიზეს 9 გამოკვლევის შედეგები, რომელთაგანაც 5-ში მჯდომარე ცხოვრების წესი დაკავშირებულ იყო საგანგაშო მოშლილობების მაღალ რისკთან. საფრთხეს ზრდის დროის ოდენობა, რომელსაც დამჯდრები ვატარებთ. მოსწავლეთა 36 პროცენტი, რომლებიც ტელევიზორს ან კომპიუტერს დღეში 2 საათზე მეტ დროს უთმობს, განგაშის გრძნობას იმათზე უფრო ხშირად განიცდის, ვინც ტელევიზორთან ან კომპიუტერთან ამ დროზე ნაკლებს ატარებს.



ისევ ბუნებაში ყოფნა ჯობს

მწვანე ნარგავები და წყალსაცავები დადებით ზეგავლენას ახდენენ ბავშვების ფსიქიკაზე, ამტკიცებენ ესპანელი მეცნიერები.

გამოკვლევაში 2,5 ათასი ჯანმრთელმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა 7-დან 10 წლამდე. ყველა გამოსაცდელს შეუმოწმეს მეხსიერება და ყურადღება.

აღმოჩნდა, რომ ბავშვები, რომლებიც ტყეებისა და პარკების მახლობლად ცხოვრობდნენ, ფსიქიკური განვითარების დონით დაახლოებით ერთი წლით უსწრებდნენ თანატოლებს, რომლებიც მწვანე ნარგავებიდან შორს ბინადრობდნენ. ასეთივე შედეგი აღენიშნებოდათ იმ ბავშვებს, რომლებიც ტბების, წყალსაცავებისა და ზღვების მახლობლად ცხოვრობდნენ.

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ დადებითი ეფექტი 20-25 პროცენტითაა დაკავშირებული იმასთან, რომ მწვანე ზონებში ჰაერი გაცილებით სუფთაა. ჰაერის დაბინძურება კი ცუდ გავლენას ახდენს გონებრივ განვითარებაზე.

მადლიანი შოკოლადი

შოტლანდიაში 21 ათასი ადამიანის რაციონის ანალიზის შემდეგ გაირკვა, რომ სასარგებლო თავისებურებები აქვს ნებისმიერ შოკოლადს (და არა მხოლოდ მწარეს, როგორც ადრე მიაჩნდათ). სასარგებლო ნივთიერებათა შემცველობა მაღალია ყველა სახეობის შოკოლადში.

შვებულება ციფრებსა და ფაქტებში

სამუშაო პერიოდში დასვენების მიზნით გარკვეული დროით სამსახურისგან გათავისუფლება, რა დროსაც მუშაკს ხელფასი უნარჩუნდება, შვებულება ეწოდება. ცნება

„შვებულება“ ევროპაში მხოლოდ მე-19 საუკუნის დასაწყისში გაჩნდა. შვებულების დღეების რიცხვში დღესასწაულების დღეები არ ითვლება.

ფინელები 39 დღეს, იაპონელები კი წელიწადში მხოლოდ 10-14 დღეს ისვენებენ. ანაზღაურებადი შვებულების გაყოფა შეიძლება. სრულფასოვანი დასვენება, მეცნიერთა აზრით, სამ კვირაზე ნაკლები არ უნდა იყოს, ამასთან მიაჩნიათ, რომ ერთი კვირით დასასვენებლად წასვლას აზრი არა აქვს, რადგან ერთი კვირა ორგანიზმს აკლიმატიზაციისთვის სჭირდება; იმ პირთა სიცოცხლე, ვინც დიდი ხნის მანძილზე შვებულების გარეშე მუშაობს, ქრონიკული ალკოჰოლიკების სიცოცხლის ხანგრძლივობაზე ნაკლებია; 40 პროცენტით მცირდება გულის სისხლ-ძარღვთა დაავადების რისკი იმ პირთათვის, ვინც წელიწადში ერთხელ მაინც ისვენებს.

გამწონასწორებელი ფეხსაცმელი

თავბრუსხვევების მქონე ანდა ინსულტგადატანილ პირთათვის, რომლებსაც მერყევი სიარული აქვთ, სპეციალური ფეხსაცმელი კრასნოიარსკის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ნერვულ სნეულებათა კათედრის სპეციალისტებმა შეიმუშავეს.

წონასწორობის დარღვევის მქონე პირთა რეაბილიტაციისთვის განკუთვნილი სპეციალური ფეხსაცმლის შექმნაზე მუშაობა მეცნიერებმა ათი წლის წინათ დაიწყეს. 2011 წელს გამომგონებლებმა პატენტი მიიღეს, წლეულს კი სამკურნალო ფეხსაცმლის პირველი პარტია გამოუშვეს.

„გამაგონე ხმა ბულბულისა...“

ქალის მიმზიდველობის განსაზღვრა მამაკაცებს, თურმე, მისი ხმის ჟღერადობით შეუძლიათ, ასეთია ავსტრალიელ მეცნიერთა კვლევის შედეგი.

მოხალისე მამაკაცთა ერთ ჯგუფს ქალების ჩაწერილი ხმების მოსმენა სთხოვეს, რის საფუძველზე მათ მხოლოდ ამ პარამეტრით უნდა გაერკვიათ, თუ რამდენად მომხიბლავია მანდილოსანი. მეორე ჯგუფის წევრებს კი ქალის მიმზიდველობა გარეგნული ნიშნებით — აღნაგობისა და სახის მიხედვით უნდა განესაზღვრათ.

შედეგად დადგინდა, რომ ორივე ჯგუფის წევრთა დასკვნები დაემთხვა — აღმოჩნდა, რომ გარეგნულად ლამაზ ქალებს, უმეტესად, სასიამოვნო ტემბრის ხმები აქვთ.

ჰიპერტონიის აცრა

ოსაკას უნივერსიტეტის მეცნიერებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს: მათ დნკ-ვაქცინა შეიმუშავეს, რომელიც მაღალ წნევას შველის.

ახალი გენური ვაქცინა იმ ჰორმონზეა მიმართული, რომელიც სისხლძარღვთა შევიწროებას იწვევს, რითაც სისხლის წნევას ზრდის და გულზე დატვირთვას აძლიერებს. მისი მოქმედება მარტივია — ის სისხლძარღვებს აფართოებს.

ახალი ვაქცინის გამოყენება შეიძლება იმ შემთხვევებში, როცა პაციენტი ექიმის დანიშნულებას არ ასრულებს, რაც ჰიპერტონიით დაავადებულთა საყოველაო პრობლემაა.



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საკაშვილი კი უკვე გაისროდა...

Fronda.pl: რუსეთელები შეიჭრნენ საქართველოში ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიიდან, დაიკავეს დაახლოებით ტერიტორიის კილომეტრიანი ზოლი. იქ გადის ნავთობსადენი ბაქო-სუფსა, რომლის მიხედვითაც ნავთობი თურქეთს მიეწოდება. რატომ წავიდა მოსკოვი ასეთ ნაბიჯზე.

ანჯეი რომანოვსკი: საქართველოზე გამავალი ნავთობსადენები ყოველთვის თვალში ეკალივით ესობოდა კრემლს: ესენი ხომ ერთადერთი მილსადენებია პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომლებსაც მოსკოვი ვერ მართავს. მილები, რომლებიც განთავსებულია საქართველოს ტერიტორიაზე, მაგალითად, მიდის თურქეთში, საშუალებას იძლევა მივაწოდოთ მას ენერგორესურსები კასპიის ზღვის რეგიონიდან მოსკოვის მხრიდან კონტროლის გარეშე. ეს შეეხება აზერბაიჯანს და უფრო ნაკლებად თურქმენეთს. ამ მილების წყალობით შუა აზია თავს აღწევს რუსეთის კონტროლს: შეიძლება არ მოელაპარაკო მოსკოვს, არ გამოიყენო დამოკიდებულება გაზპრომზე ან როსნავთობზე, დადო კონტრაქტები და მიაწოდო ნედლეული ხმელთაშუა ზღვის მიმართულებით.

მას შემდეგ რაც ეს მილსადენები გაჩნდა, რუსეთელები მთელი ძალით ცდილობენ მათ განადგურებას. ვინაიდან ეს იყო მახე, მათ შორის ამერიკული ინვესტიციებისა, ამ მილების გარშემო მუდამ დაძაბულობაა. ამას გარდა, მათი წყალობით საქართველო ინარჩუნებს დამოუკიდებლობას თავის მოქმედებებში. 2008 წლის ომის დროს, როდესაც გაჩნდა პირველი ცნობები იმის შესახებ, რომ მილსადენები დაიბომბა, რუსებმა ეს უარყვეს. შემდეგ კი (როგორი გასაოცარი დამთხვევაა!) სწორედ იმ დროს ქურთმა პარტიზანებმა თურქეთის ტერიტორიაზე ჰაერში გაუშვეს იგივე მილსადენი: სხვათა შორის, ისინი უკვე ნახევარი საუკუნეა მჭიდროდ თანამშრომლობენ მოსკოვთან და იქიდან ღებულობენ ფულს.

ეს მიგვითითებს იმაზე თუ როგორ მობილიზებას ახდენს მოსკოვი ამ მილსადენისა: იგი ხომ მას ართმევს მონოპოლიას ნახშირწყლებით ვაჭრობაზე პოსტსაბჭოთა სივრცეში და, როგორც მეჩვენება, მშვიდი ძილის საშუალებას არ აძლევს კრემლს. ამიტომ რუსეთელები ძალისხმევას, შრომას, დიპლომატიას, სისხლსა და სამხედრო ძალისხმევას არ იშურებენ იმისათვის, რომ მიიღონ კონტროლი ამ მილსადენზე ან გაანადგურონ იგი.

— რატომ დაიკავეს რუსეთელებმა საქართველოს ტერიტორიის ზოლი სწორედ ახლა?

— მე არ ვიცი, თუ რატომ დაიწყეს მათ ეს ყველაფერი ახლა. რუსეთელები ყოველთვის, ზბიგნევ ბჟეზინსკის ზუსტი შეფასებით, მთელი მსოფლიოს სივრცეზე თამაშობენ, როგორც საჭადრაკო დაფაზე, შესაძლებელია, ეს იყოს პასუხი ამერიკა-ირანის შეთანხმებაზე, რომელმაც გამოიწვია ფასების გარდაუვალი დაცემა ნავთობზე. ირანი დაბრუნდება მსოფლიო ბაზარზე თავისი მონაპოვრით, ეს კი ნეგატიურად აისახება რუსეთის ბიუჯეტზე, შესაძლებელია, მოსკოვი ამასთან დაკავშირებით აკეთებს ჟესტებს საქართველოს მისამართით, იცავს თავს ანდა გვაგრძნობინებს, რომ თუ ამერიკელები იქ არიან, ჩვენ აქ ვიქნებითო. ასეთია უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის ყოფილი ოფიცრების კლასიკური ვაჭრობა.

— მაგრამ ოფიციალურად ვლადიმერ პუტინი მეტად კმაყოფილი იყო ირანთან შეთანხმებით, რუსეთის პოზიციას კი თვით ბარაკ ობამა აქებდა კიდეც.

— პუტინმა შეიძლება თავი ისე წარმოგვიდგინოს რომ კმაყოფილია, მაგრამ ბირჟების გუშინდელი გახსნის შემდეგ რუბლი ელვისებურად მიექანება ქვევით. ოფიციალურ დონეზე, კამერების წინ, რუსეთის პრეზიდენტი იღიმის, მაგრამ როგორც კი გამოდის სტუდიიდან, კბილებს აღრჭიალებს.

— საქართველოს ტერიტორიის ხელში ჩაგდება გამოიწვევს რაიმე რეაქციას საერთაშორისო არენაზე?

— არ ვფიქრობ, რომ უნდა ველოდოთ მკაცრ ოფიციალურ რეაქციებს. დუღილი იქნება ხალიჩის ქვეშ. უინსტონ ჩერჩილი, როდესაც აღწერდა ბრძოლას კრემლში, საუბრობდა ბულდოგების შეტაკების შესახებ ხალიჩის ქვეშ. კრემლთან თამაში — ეს ასეთი დაპირისპირებაა. სავსებით ნათელი არაა, თუ ვინ იქნება ზევით, მაგრამ დროდადრო ამ ხალიჩის ქვეშიდან ვარდება ცხედარი. ცხადია, უკვე დაიწყო რაღაც ნერვული ზარები, გაისმის ხმები მოლაპარაკების შესახებ, შეხვედრების შესახებ, მოწოდებანი მოლაპარაკებისაკენ და ასე შემდეგ. დღემდე რომ მიხეილ სააკაშვილი ყოფილიყო პრეზიდენტი, სიტუაციას სხვაგვარი სახე ექნებოდა.

— როგორ?

— ვფიქრობ, ქართული არმია უკვე დაუწყებდა სროლას რუსეთელებს. სააკაშვილს ჰქონდა ღრმა და, თქვენ წარმოიდგინეთ, სამართლიანი რწმენა, რომ მოსკოველი იმპერიალისტები უთმობენ მხოლოდ ძალას.

— მაგრამ ამჟამად ყველაფერი სხვაგვარად გამოიყურება. რატომ?

— სხვადასხვა შინაგანი მიზეზების გამო. საქართველოში ხელისუფლებაში მოვიდა ისეთი ძალები, ვის ხმასაც ვისმენთ ჩვენთანაც: რუსეთთან დავა არ ღირს, რუსეთი დიდია, ჩვენ მასთან ვვაჭრობთ, ყველაფერი იქნება კარგად, მოდით — მივყიდოთ ვაშლი, ესე იგი საქართველოს შემთხვევაში — ყველი და ღვინო. ეს ასეთი მიდგომაა. სააკაშვილმა თავისი რეფორმების ბაზად, თუ მაქსიმალურად მოკლედ ჩამოვაყალიბებთ სიტუაციას, აქცია ახალგაზრდა ინგლისურენოვანი ქართველები. მაგრამ ქართველთა უმრავლესობა — ეს საშუალო ასაკის რუსულენოვანი ხალხია. და ამჟამად საქართველოში გადამწყვეტი ხმა აქვს ამ უმრავლესობას.

— ის, რომ რუსეთელებმა, მიუხედავად თბილისის შემრიგებლური პოლიტიკისა, უცერემონიოდ დაიკავეს ქართული მიწის ნაკვეთი, უნდა გამოადგეს პოლონეთს მორიგ გაკვეთილად?

— კიდევ რისი გაკეთება შეგვიძლია ჩვენ რუსეთთან, არ ვიცით? (იცინის.) ჩვენ მის შესახებ უკვე ყველაფერი ვიცით.

— ხმები ვაშლთან დაკავშირებით გვიჩვენებენ, რომ ჯერ ყველაფერი დამთავრებული არაა.

— შესაძლებელია, საქმე სხვაგვარადაცაა: საკითხი შეეხება არა რუსეთს, არამედ კრემლის თანამედროვე გუნდს. მის შესახებ ჩვენ ყველაფერი ვიცით. მაგრამ ეს გუნდი მეტად მოხერხებულად უკეთებს საშინელებებს თავის მეზობლებს. ამასთან დაკავშირებით თუ გვსურს, გამოვიყენოთ რაიმე პოლიტიკა ევროკავშირისა და ნატოს გარეშე, კარგად უნდა ვიცოდეთ თუ ვისთან გვაქვს საქმე. მაგალიად მოვიყვან ფინეთის პრეზიდენტ მაუნო კოივისტოს. ის იყო რუსეთთან ურთიერთობაში რბილი პოლიტიკის წარმოების სიმბოლო. ერთხელ, როდესაც ის ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა, კრემლს არ მოეწონა რაღაც იქიდან, თუ რას აკეთებდა იგი იქ. ფინეთის წინააღმდეგ შემოიღეს რაღაც შემზღუდავი ზომები. კოივისტომ მოსკოვის ლიდერებს გაუგზავნა წერილი მეტად შემრიგებლურ ტონში, შემდეგ კი იმავე დღეს გაემგზავრა ამერიკის არმიის აღლუმზე რითაც კრემლს მიაწოდა აშკარა არაორაზროვანი სიგნალი. ასე უნდა აწარმოო პოლიტიკა ასეთ ადამიანებთან.

fronda.pl
PORTAL POŚWIĘCONY

დედამიწის ზურგზე

ნიგერიაში რამადანის ლოცვის დროს ტერაქტი მოხდა

ნიგერიის ქალაქ დამატურუში მუსლიმთა დღესასწაულის— რამადანის აღსანიშნავად მიმდინარე ლოცვის დროს თავდასხმა მოხდა. „ბიბისის“ ცნობით, დაღუპულია სულ მცირე ცხრა ადამიანი.

როგორც ნიგერიის არმიის პრესსპიკერი აცხადებს, აფეთქება თვითმკვლელმა-ტერორისტებმა განახორციელეს - ერთი ქალი, ხოლო მეორე 10 წლის გოგონა იყო.

მომხდარზე პასუხისმგებლობა ჯერ არავის აუღია. თუმცა, ქვეყანაში ისლამისტური დაჯგუფება „ბოკო ჰარამი“ მოქმედებს და მსგავს თავდასხმებს ხშირად ახორციელებს. ტერაქტი გუშინაც მოხდა. ქალაქ გომბრეში მომხდარ აფეთქებებს გუშინ 50-ზე მეტი ადამიანი შეეწირა.

გაიდარისა და ნემცოვის ქალიშვილები საზღვარგარეთ გაემგზავრნენ: მონახეს სამუშაოები უკრაინასა და გერმანიაში

მარია გაიდარი გახდა საქართველოს ექს-პრეზიდენტის, ამჟამად კი უკრაინის ოდესის ოლქის გუბერნატორის მიხეილ სააკაშვილის თანაშემწე და მიიღებს უკრაინის მოქალაქეობას. მან განაცხადა: რომ „თუ წარმატებებს მივაღწევთ ოდესაში, ჩვენ ასევე შეგვიძლია შევცვალოთ რუსეთი უკეთესობისაკენ“. ჟანა ნემცოვა „დოიჩე ველეს“ რეპორტიორი გახდება.

ბრიტანეთში მთვრალმა ციყვმა გაანადგურა ის ბარი, სადაც ცხოველებით შესვლა აკრძალულია

დახურულ შენობაში მეპატრონეების არყოფნით ისარგებლა მღრღნელმა და იგი დარბოდა თაროებზე, ძირს ყრიდა ბოთლებსა და ბოკლებს, აგრეთვე მიმოფანტა სალარო, ამასთან ერთად ცხოველმა შეძლო ერთ-ერთი ლუდის კასრის ონკანის გაღება. მეპატრონეებმა შეაფასეს საერთო ზარალი, რომელიც ციყვის დებოშმა გამოიწვია და რამაც დაახლოებით 300 გირვანქა სტერლინგი შეადგინა.

ფილიპინების ფირმამ დაიწყო გენერალური დირექტორების სწავლება „სუპერლიდერების - ჰიტლერის, სტალინის, მაოს და მარკოსის - გამოცდილების საფუძველზე

ფირმამ, რომელმაც მოაწყო ყოველთვიური ფორუმები აზიელი დირექტორებისათვის, წარმოადგინა იმ მსოფლიო ლიდერების გრძელი სია, რომელთა მიღწევებიც შეიძლება გამოიყენო, როგორც მიბაძვის ნიმუში. ამ დროს „სუპერლიდერების“ ბოროტმოქმედებისა და სიმკაცრის შესახებ არაფერს საუბრობენ. სკანდალის ფონზე მთელმა რიგმა პარტნიორებმა უარი განაცხადეს ღონისძიებაში მონაწილეობაზე.

პოროშენკომ განაცხადა, რომ რუსეთი და სეპარატისტები დონბასში კონფლიქტის ესკალაციისთვის ემზადებიან

უკრაინის ლიდერმა აღნიშნა, რომ მას აქვს ამ მომზადების დადასტურება. „მაქვს ინფორმაცია დაზვერვის წყაროებიდან, რომ აგრესორების შემოჭრა მოხდება“, — განაცხადა პრეზიდენტმა. ამჟამად ადგილი აქვს რუსეთის ძალების კონცენტრაციას და ეს გვაიძულებს, მივიღოთ დიდი ძალისხმევა, რათა თავიდან ავიცილოთ აგრესია“, — თქვა პიოტრ პოროშენკომ.

იაპონიაში ტაიფუნის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა

იაპონიის სამხრეთ რეგიონში ტაიფუნ „ნანგკას“ შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა. გამოცემა „თაიმის“ ცნობით, არიან დაშავებულებიც. მათი რიცხვი 30-ს აჭარბებს.

ქვეყნის მთავრობამ სანაპირო ქალაქებიდან 350 000-ზე მეტი ადამიანის ევაკუაციის ბრძანება გასცა.

ტაიფუნმა მეწყერები და წყალდიდობა გამოიწვია. კუნძულ სიკოკუზე ქარის სიჩქარემ საათში 185 კილომეტრს მიაღწია.

ადგილობრივი მედიის ცნობით, დღეს დილით ტაიფუნმა ძალა დაკარგა და ის ტროპიკულ შტორმში გადაიზარდა. თუმცა, მთავრობის ცნობით, დღის ბოლომდე ქარის სიჩქარე კვლავ საგანგაშო იქნება.

გაეროს უშიშროების საბჭომ ირანის რეზოლუციის პროექტთან დაკავშირებით კენჭისყრის თარიღი დანიშნა

კენჭისყრა გაიმართება 20 ივლისს დილით. დიპლომატიურმა წყარომ გვაცნობა, რომ ხუთშაბათს უშიშროების საბჭოს წევრების ექსპერტების შეხვედრაზე არც ერთ ქვეყანას არ შემოუთავაზებია შესწორებები რეზოლუციის პროექტში. „დოკუმენტი მზადაა. იგი შეთანხმებულია და მასში არანაირი ცვლილებები არ შევა“, — აღნიშნა წყარომ.

ᲜᲣ ᲒᲐᲕᲕᲐᲑᲠᲐᲖᲔᲑᲗ ᲙᲚᲘᲝᲡ

ᲛᲐᲡ შემდეგ, რაც თუკიდიდემ, ისტორიას როგორც მეცნიერებას, მიაქცია ყურადღება, კაცობრიობის განვითარების ყველა საფეხურზე, ისტორიის შესწავლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა „ხალხის ფეხის წინ წადგმისათვის, ცხოვრების უკეთ მოწყობისათვის“ (ილია). 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ამ ჭეშმარიტების უგულებელყოფამ, როდესაც ბოლშევიკებმა უარი თქვეს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს სასწავლებლებში სამოქალაქო ისტორიის (მაშინ ასეთი ტერმინი იხმარებოდა) სისტემურ სწავლებაზე და „ვულგარული სოციოლოგიზმით“ ცდილობდნენ მასებზე იდეოლოგიურ ზემოქმედებას, უარყოფითი შედეგები გამოიღო. აშკარა გახდა ისტორიისადმი, ისტორიის სწავლებისადმი დამოკიდებულების რადიკალურად შეცვლა.

არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში, არამედ სხვა ქვეყნებშიც, ისტორიას პრაგმატული მიზნებისათვის ყოველთვის იყენებდნენ. ცნობილია ლუი XIV სიტყვები თავისი მარშლების კონდესა და ტიურენისადმი: **„თქვენ დაიპყარით ტერიტორიები და მე ყოველთვის ვიპოვი ისტორიკოსებს, რომლებიც მეცნიერულად დაამტკიცებენ, რომ ეს ტერიტორიები ოდითგანვე საფრანგეთს ეკუთვნოდა“**. ან კიდევ: 1950 წელს, ამერიკის ისტორიკოსთა ასოციაციისადმი გაგზავნილ მიმართვაში პრეზიდენტი ტრუმენი აღნიშნავდა, რომ აშშ-ის პოლიტიკის მთავარი ამოცანაა კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლა და ამ საქმეში დახმარებას ისტორიკოსებს სთხოვდა. ამგვარი ფაქტები მრავალია, სხვა საკითხია, თუ ისტორიკოსები უარყოფენ ისეთ პრაგმატიზმს, რომელიც ხასიათდება უტილიტარიზმითა და პრეზენტიზმით.

ცხადია, ისტორიის მეცნიერება პოლიტიკურ ძალად იქცა. ასეა ყველგან, ასე იყო წარსულში, ასე არის თანამედროვე მსოფლიოში, ასე იქნება მომავალში, რადგან „რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება, არაფერია მზის ქვეშ ახალი“. ამიტომ, ბუნებრივია, ახლა, როდესაც ჩვენს საზოგადოებაში რევოლუციური ხასიათის ცვლილებები მიმდინარეობს, როდესაც დემოკრატიისა და საჯაროობის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში ამოტივტივდა ბევრი ისეთი პრობლემა, რომელთა გადაჭრა მოითხოვს არა მარტო საზოგადოების ყველა წევრის ძალისხმევას, არამედ მიღებულ ან მისაღებ გადაწყვეტილებათა მეცნიერულ არგუმენტაციას, ისტორიული წარსულისადმი ინტერესი განუზომლად იზრდება. გავიხსენოთ თუნდაც ის, თუ როგორ ცდილობდნენ XIX საუკუნის 60-იანი წლების პროგრესული ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლები ისტორიაში ეპოვათ პასუხი იმ მწვავე საკითხებზე, რომლებსაც მათ წინაშე აყენებდა საქართველოს მაშინდელი ცხოვრება, მისი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პერსპექტივები.

ისტორიამ, როგორც მეცნიერებამ, ეს უდიდესი მისია ქვეყნისა და ხალხის წინაშე, რომ შეასრულოს, მან არა მხოლოდ ობიექტურად უნდა ასახოს წარსული და შეისწავლოს აწმყო, არამედ, აგრეთვე, იწინასწარმეტყველოს საზოგადოების განვითარების მომავალი ზოგად კონტურებში მაინც, ანუ ისტორიამ უნდა გვასწავლოს. „ისტორია ცხოვრების მასწავლებელია“. ციცერონის ამ სიტყვებში ისტორიის, როგორც მეცნიერების, საზრისია გაცხადებული.

ასრულებს კი ამ ძირითად დანიშნულებას ქართული ისტორიის მეცნიერება? თუ ვერ, ან არ ასრულებს, რა არის ამის მიზეზი? რა გზებითა და საშუალებებით შეიძლება ჩვენს ისტორიის მეცნიერებაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა, მისი განვითარება? ამ კითხვებზე პასუხების გასაცემად ქართული პერიოდიკის ფურცლებზე არა ერთი წერილი გამოქვეყნდა.

წერილების ავტორები, სავსებით სწორად ამახვილებენ ყურადღებას ისტორიის ფილოსოფიაზე, რომელიც გულისხმობს როგორც მსოფლიო ისტორიის ფილოსოფიურ გააზრებას, ასევე ისტორიის მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგიურ პრობლემებს.

ჩვენში ისტორიის ფილოსოფიის საკითხებზე ყურადღების აქცენტირება განპირობებულია იმითაც, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში ისტორიის მეცნიერება მიმდინარე პოლიტიკის უბრალო რეფლექსად იქცა, მას დაეკარგა მეცნიერული ხასიათი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კი ადრე ტაბუდადებულ საკითხებზე, თავისუფალი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა მოგვეცა. ახლა შეგვიძლია იმის აღიარება, რომ არავის არ შეიძლება ჰქონდეს კაცობრიობის განვითარების გზებისა და აზრის ცოდნაზე პრეტენზია.

„სოციალიზმის მშენებლობის“ კრახი კარგი გაკვეთილი უნდა იყოს იმისათვის, რომ არ გავაფეტიშოთ საზოგადოებრივი ინტერესები და სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციების სქემები, აგრეთვე არ მოვახდინოთ რევოლუციების, როგორც საზოგადოების პროგრესის მთავარი ფორმების აბსოლუტიზაცია, არც პროგრესის კრიტერიუმების დაკავშირება შეიძლება სოციალიზმისა და კომუნიზმის შესახებ საეჭვო წარმოდგენებთან. ალბათ, უნდა შემოვიფარგლოთ იმის აღიარებით, რომ პროგრესის შედარებით მისაღები კრიტერიუმი პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნაა. ამიტომ, გასაგებია იმ მეცნიერთა შეხედულებების პოპულარობა, რომლებიც კაცობრიობის ისტორიას ღმერთების ნების გამოხატულებად მიიჩნევენ. ქრისტიანული რელიგიის მიხედვით (სხვა რელიგიების მიხედვითაც) ისტორია ხომ ღმერთების ნებაა-სურვილის გამოვლინებაა ადამიანების საშუალებით და ადამიანების სასარგებლოდ.

ისტორიის მეცნიერებამ წარმატებით რომ გაართვას თავი მასზე დაკისრებულ ძირითად ამოცანას — გახდეს „ძლიერი საშუალება ხალხის წინ ფეხის წადგმისათვის, ცხოვრების უკეთ მოწყობისათვის“, ანუ გახდეს „ცხოვრების მასწავლებელი“, ამისათვის ერთ-ერთ გზად გვესახება კვლევის სხვადასხვა მეთოდოლოგიური ხერხებისათვის არსებობის უფლების აღიარება, მათ შორის ისეთებისაც, რომლებიც საზოგადოებრივი მოვლენების ახსნისას, ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად, სხვა ფაქტორებსაც — პოლიტიკურს, ფსიქოლოგიურს, მორალურს, რელიგიურს და სხვა უფრო მეტ მნიშვნელობას მიანიჭებდა. ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების განხილვისას აზრთა პლურალიზმმა (რომელიც ასე მოგვწონს), კვლევის მეთოდოლოგიურ პლურალიზმშიც უნდა ჰპოვოს ასახვა.

განსხვავებული მეთოდოლოგიური პრინციპებით შესწავლილი ისტორიული ფაქტები და მოვლენები ისტორიის მეცნიერების კრიზისის გამოვლენად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ წინააღმდეგობა და აზრთა დაპირისპირება ხომ განვითარების საფუძველია, განვითარება კი ისტორიის მეცნიერებაში ნიშნავს წარსულის ობიექტურად, მართლად ასახვას; ეს სიმართლე შეიძლება სასიამოვნო არ იყოს, შეიძლება იგი მკვეთრად ცვლიდეს ჩვენს წარმოდგენაში დამკვიდრებულ ვარდისფერ წარსულს, მაგრამ ეს საჭიროა, ეს აუცილებელია!

ჩვენი აზრით, ისტორიის ამოცანებისა და მიზნების გაგებაში აზრთა პლურარიზმისადმი შემრიგებლური დამოკიდებულება კიდევ უფრო შეუქცევადს გახდის საჯაროობისა და დემოკრატიული გარდაქმნებისადმი რწმენას ადამიანთა შეგნებაში.

ყოველი თეორია მაშინ არის ღირებული, თუ იგი პრაქტიკულ შინაარსს იძენს, პრაქტიკაში გამოიყენება. გვყავს კი ჩვენ ისტორიკოსთა ისეთი კადრები, რომლებიც მეცნიერულ კვლევა-ძიებას სხვადასხვა მეთოდოლოგიურ საკითხებში გათვიცნობიერებულები ისტორიის მეცნიერებათა თანამედროვე მიღწევათა დონეზე გამოიკვლევენ მსოფლიო ისტორიის პრობლემებს, საქართველოს ისტორიულ წარსულს, საღად შეაფასებენ თანამედროვეობას და გააკეთებენ მეცნიერულად დასაბუთებულ პროგნოზებს. ასეთი ისტორიკოსები ჩვენში თითზე ჩამოსათვლელია, და თუ არ გვინდა დავრჩეთ პერიფერიად მსოფლიო ისტორიის კვლევის დარგში, საჭიროა გარდაქმნა დავიწყოთ სათანადო კადრების მომზადებით. ეს აუცილებელია ერთი მეტად საჩოთირო გარემოების გამოც, რომლის შესახებ აკადემიკოსი დ. ლიხაჩოვი წერდა: „დიახ, ახლა ჩვენში მრავალ სწავლულს რეპუტაცია არა აქვს. ეს პირველია, რაც უნდა აღვადგინოთ ნანგრევებიდან. და დღემდე ზოგიერთი ადამიანი, რომელიც თავს უწყებრივად (სწორედ რომ უწყებრივად) მეცნიერებას აკუთვნებს, არ თაკილობს ერთსა და იმავე საკითხზე გამოვიდეს სრულიად საწინააღმდეგო აზრით ამჟამინდელი კონიუნქტურის გათვალისწინებით. გუშინ ისინი ხოტბას ასხამდნენ ბრეჟნევს, დღეს — გორბაჩოვს. ეს შეურაცხმყოფელია საზოგადოებაში გამაჯანსაღებელი პროცესების არსის მიმართ. გარდაქმნას მტკიცე რწმენა სჭირდება და არა ფლუგერები. „ფლუგერები“ ქართველ ისტორიკოსთა შორისაც საკმაო რაოდენობით არიან.

ქართული ისტორიის მეცნიერებას დიდად შეუწყობს ხელს სამეცნიერო კვლევაში ორგანიზაციული ხასიათის სიახლეებიც. მისაღებად მიგვაჩნია ზოგიერთ ქვეყანაში არსებული ამა თუ იმ ისტორიული პრობლემით დაინტერესებულ მკვლევართა საზოგადოებების მსგავსი ორგანიზაციების შექმნა. მაგალითად, საფრანგეთში არსებობს „ნაპოლეონის შემსწავლელი საზოგადოება“, „ფრანგული კოლონიზაციის შემსწავლელი საზოგადოება“, „1848 წლის რევოლუციის შემსწავლელი საზოგადოება“ და ა.შ. „საზოგადოებაში“ შეიძლება გაერთიანდნენ სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებების თანამშრომლები, ისტორიკოსები, ფილოლოგები, ჟურნალისტები და სხვა დაინტერესებული პირები. ისინი წლების განმავლობაში იმუშავებენ საკვლევ პრობლემებზე — გამოსცემენ პირველწყაროებს, გამოაქვეყნებენ სტატიებს, მონოგრაფიებს, შეიძლება საკუთარი სამეცნიერო ჟურნალიც კი გამოსცენ და როდესაც საქმეს დამთავრებულად ჩათვლიან, დაიშლებიან. შემდეგ მათ შეუძლიათ სხვა საზოგადოებაში გაერთიანდნენ. „საზოგადოებების“ შექმნას იმიტომ მივიჩნევთ საჭიროდ, რომ ისინი საშუალებას მოგვცემენ საკვანძო საკითხებზე მოვახდინოთ ისედაც შეზღუდული სამეცნიერო ძალების კონცენტრირება.

დაბოლოს, უნდა შევეხო ისეთ საკითხს, რომელსაც თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების ეპოქაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ესაა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსება. ცნობილია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში, ცალკეული პირები თუ ორგანიზაციები, გარკვეული ინტერესებიდან გამომდინარე, საკუთარი ხარჯებით აფინანსებენ ისტორიკოსების სამეცნიერო შრომას. მაგალითად, აშშ-ში არსებობს „ბიზნესის ისტორიის საზოგადოება“, რომლის წევრები სწავლობენ მონოპოლიების შექმნის ისტორიას, მათ საქმიანობას და პრაქტიკულ რჩევა-დარიგებებს აძლევენ მათ დამფინანსებლებს. გერმანიაში არსებობს „პრინც ტისენის ფონდი“, „კარნეგის ფონდი“ და სხვ. ცალკეულ პირებსა და ორგანიზაციებს ჩვენშიაც ხომ შეუძლიათ ამგვარი ხარჯების გაღება? მაგალითად, რელიგიის ისტორიის საკითხებზე სამეცნიერო ნაშრომები ნაწილობრივ ქართულმა ეკლესიამ აანაზღაუროს, ქალაქებისა თუ სოფლების, სახალხო მეურნეობების ამა თუ იმ დარგის ისტორიის კვლევა შესაბამისმა ორგანიზაციებმა. ხომ გვაქვს არქეოლოგიური სამუშაოებისათვის დაფინანსების პრაქტიკა? ასეთი დაფინანსება ჩვენი მეცნიერებათა აკადემიის მატერიალურ მდგომარეობასაც გააუმჯობესებდა და მეცნიერთა შრომასაც უფრო ინტენსიურს გახდიდა.

ჩვენს მიერ წამოჭრილ საკითხებში ბევრი რამ სადავოა, ზოგისთვის მიუღებელიც კი, მაგრამ მათზე ყურადღების გამახვილება რომ საჭიროა, ცხადია. ამ სტატიის დანიშნულებაც სწორედ ეგ არის.

ისტორიამ უნდა გვასწავლოს ჩვენი ხალხის „.... ფეხის წინ წადგმისათვის, ცხოვრების უკეთ მოწყობისათვის“.

ᲕᲐᲟᲐ ᲗᲕᲐᲚᲐᲕᲐᲫᲔ,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

◎ კალათბურთი

ევროპის ჩემპიონთა თასი თბილისშია!

საქართველოში პირველად ჩამოიტანეს კალათბურთში ევროპის ჩემპიონის თასი. თასთან ერთად თბილისში ჩამოვიდა ფიბას საორგანიზაციო ჯგუფი, რომელთან ერთადაც კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ ევრობასკეტის თასის თბილისური ტური დაგეგმა.

აღნიშნული ტურის ფარგლებში თასი გუშინ გამოიფინა დედაქალაქის ღირშესანიშნავ ადგილებში (მეტეხი, აბანოთუბანი, მშვიდობის ხიდი, გმირთა მოედანი, წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორია...), ქართული სპორტისა და ხელოვნების მუზეუმებში, დღეს კი თასი „თბილისი მოლში“ გამოიფინება, სადაც 3X3 კალათბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ფინალური ეტაპი ტარდება და მისი ნახვის შესაძლებლობა „თბილისი მოლში“ მისულ ყველა გულშემატკივარს ექნება. ევროპის საჩემპიონო თასი გარდამავალია. იგი 23 სანტიმეტრი სიმაღლისაა, იწონის 18 კილოგრამს და შეიცავს მრავალ ძვირფას ლითონსა თუ ქვას. თასი მოოქროვილია და გარშემო 24 ძვირფასი თვალი აკრავს, მათ შორის, აგატი, ამეთვისტო, ყვითელი კვარციტი, გრანიტი, მალაქიტი. მისი ავტორია ცნობილი გერმანელი ოქრომჭედელი გიუნტერ შიობელი.

საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ზედიზედ მესამედ ასპარეზობს. მიმდინარე წლის 5 სექტემბრიდან აღნიშნული თასისთვის ბრძოლას ევროპის 24 საუკეთესო ნაკრები დაიწყებს, რომელთა შორის საქართველოცაა. ჩვენი ნაკრები ჯგუფურ ეტაპს ხორვატეთში ითამაშებს საბერძნეთის, ხორვატეთის, სლოვენიის, მაკედონიისა და ჰოლანდიის წინააღმდეგ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ სეზონის წინ

„ტორპედოს“ ახალი ლოგო და ფორმა აქვს

საქართველოს სამგზის ჩემპიონ ქუთაისის „ტორპედოს“ კარს მომდგარი სეზონიდან ახალი ლოგო და მაისური ექნება. ახალ ლოგოსთან დაკავშირებით წარმოდგენილ იქნა 16 ვარიანტი, ხოლო ფორმასთან — ექვსი. ისინი დანომრილი იყვნენ და სპეციალური კომისიის წევრებს ამ ნუმერაციის მიხედვით უნდა დაეწერათ ქულები.

საბოლოოდ, დათვლილი ქულების მიხედვით ლოგოებს შორის უპირატესობა ნომერ თორმეტს მიენიჭა, ხოლო მაისურებს შორის არჩევანი მე-6 ნომერზე შეჩერდა.

ლოგოსა და მაისურის ავტორი სოსო ბაბუნაშვილი აღმოჩნდა, რომელსაც გათვალისწინებული საპრიზო თანხა, თითოეულ ნომინაციაში 150 ლარი (ჯამში 300) გადაეცა.

გიორგი შოთაძე

◎ ავტოსპორტი

„მაკლარენი“ კვარცხლბეკს კვლავ უმიზნებს

„მაკლარენის“ შეფი ერიკ ბუიე არ გამორიცხავს ამ სეზონშივე მისი გუნდის რომელიმე პილოტის კვარცხლბეკზე ასვლას. ოღონდ, ეს იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ გუნდი მანქანის და ძრავის პოტენციალს მაქსიმალურად აითვისებს. არადა, „ჰონდას“ ძრავით მოასპარეზე გუნდმა, რომელიც ყოველთვის უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის ხოლმე, ამ სეზონში ჯერ მხოლოდ 5 ქულის აღება მოახერხა.



მთავარი პრობლემა, რაც „მაკლარენს“ კარგი შედეგების ჩვენებაში ხელს უშლის, „ჰონდას“ ძრავია, რომელიც მეტისმეტად არასაიმედოა. ამის გამო იაპონური კომპანიის ინჟინრები ჯერ თავს იკავებენ მის სრულ სიმძლავრეზე გაყვანაში. სწორედ ცხენის ძალების ნაკლებობაა ის მთავარი ფაქტორი, რომელიც უოკინგელებს თავის გამოჩენის საშუალებას არ აძლევს.

„ჰონდა“ კი კმაყოფილია აგრეგატის განვითარების ტემპით და არ გამორიცხავს, რომ მალე მას სრული სიმძლავრით აამუშავებს. სწორედ ეს იქნება ის მთავარი ინგრედიენტი, რომელიც „მაკლარენს“ მოწინავეთა შორის დაბრუნების საშუალებას მისცემს. თუმცა, როდის მოხდება ეს, ამას ჯერ ვერავინ ამბობს.

„მე ყოველთვის ვიმეორებ, რომ თუ პოტენციალის სრულად ათვისების საშუალება მოგვეცემა, მერე შეიძლება კვარცხლბეკზე ასვლაც შევძლოთ. რა თქმა უნდა, ამაში იღბალიც უნდა დაგვეხმაროს. თუ ყოველ წრეზე შევძლებთ კინეტიკური ენერგიის აღდგენის სისტემის გამოყენებას, ეს ბევრ დროს მოგვაგებინებს. ამჟამად ჩვენ ამას ვერ ვახერხებთ“, — ამბობს ბუიე და დასძენს, რომ მხოლოდ დროის ამბავია „მაკლარენის“ სრული სიმძლავრით ამუშავება.

„ვიცით, რომ ჩვენს მანქანას დიდი პოტენციალი აქვს. მაგრამ ამ ეტაპზე მის სრულად გამოყენებას ვერ ვახერხებთ. უბრალოდ, დრო მოგვეცით და ამაში ყველანი დარწმუნდებით. როგორც კი ტექნიკის საიმედოობის პრობლემებს მოვაგვარებთ, წინ ძალიან სწრაფად წავიწევთ. ვიცით, რომ წამის მეათედების კი არა, წამების პოტენციალი აქვს და ეს ასათვისებელია. ამჟამად ამ ყველაფერს ფიზიკურად ვერ ვიყენებთ, რადგან ტექნიკის გამძლეობის პრობლემები გვაქვს. და როგორც კი ამ პრობლემებს გადავწყვეტთ, საგრძნობლად წინ წავიწევთ, დამიჯერეთ“, — დასძენს ბუიე.

გადრი იაშვილი

◎ რჩეულნი

უეფას 10 ნომინანტი

ევროპული საკლუბო ფეხბურთის მმართველმა უწყებამ უეფამ გასული, 2014-2015 წლების სეზონის 10 საუკეთესო ფეხბურთელი დაასახელა. 12 აგვისტოს მათგან გამარჯვებისთვის ბრძოლას მხოლოდ სამი მოთამაშე გააგრძელებს, ხოლო 28 აგვისტოს უეფა თავის რჩეულს დაასახელებს.

გამოსარჩევია, რომ ათი ფეხბურთელიდან რვა ჩემპიონთა ლიგის ფინალისტებს, „ბარსელონასა“ და „იუვენტუსს“ წარმოადგენს.

უეფას მიერ რჩეული საუკეთესო ათეული კი შემდეგნაირია:

ჯანლუიჯი ბუფონი („იუვენტუსი“, იტალია).

ჯანლუიჯი ბუფონს ჩემპიონთა ლიგის გასულ გათამაშებაში ზედიზედ ხუთ მატჩში გოლი არ გაუშვია.

ბუფონმა თავის გუნდთან ერთად სკუდეტო ზედიზედ მეოთხედ მოიგო.

„იუვეს“ კაპიტანმა ჩემპიონთა ლიგის ფინალში

ითამაშა, ხოლო 6 დღის შემდგომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ხორვატეთის ნაკრების წინააღმდეგ გავიდა მოედანზე და გახდა პირველი ფეხბურთელი, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ და შესარჩევ ეტაპზე 50-ე მატჩი ჩაატარა (ამ მატჩში პენალტიც აიღო).

ედენ აზარი („ჩელსი“, ბელგია).

ედენ აზარმა გასულ სეზონში 14 გოლი გაიტანა, რაც „ჩელსიში“ დიეგო კოშტას შემდგომ საუკეთესო მაჩვენებელი გახლდათ, ხოლო აზარის გუნდმა პრემიერლიგა 2010 წლის შემდეგ პირველად მოიგო.

ბელგიელი შემტევი პრემიერლიგის სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

ლიონელ მესი („ბარსელონა“, არგენტინა).

22 ნოემბერს „სევილიასთან“ შესრულებული ჰეთ-თრიქის შემდგომ ლიონელ მესი ლა ლიგის ყველა დროის საუკეთეო ბომბარდირი გახდა. მისმა გუნდმა სამი ტიტული მოიგო და „ტრიპლეტი“ შეასრულა, ხოლო მესიმ ყველა ტურნირზე ჯამში 58 გოლი გაიტანა.

ჩემპიონთა ლიგაში 10 გატანილი გოლით მან ბომბარდირობა ნეიმართან და კრიშტიანუ რონალდუსთან ერთად გაიყო.

ნეიმარი („ბარსელონა“, ბრაზილია).

ნეიმარმა ჩემპიონთა ლიგაში გასული გათამაშების ბოლო გოლი გაიტანა. ისე კი, ტურნირზე 10 გოლით თანაბომბარდირი გახდა.

გარდა ამისა, ბრაზილიელმა თავდამსხმელმა გოლების გატანა მეოთხედფინალშიც, ნახევარფინალშიც და ფინალშიც მოახერხა.

პოლ პოგბა („იუვენტუსი“, საფრანგეთი).

ახალგაზრდა ფრანგმა იტალიის ჩემპიონატში 8 გოლი გაიტანა და გუნდს ჩემპიონობის მოპოვებაში დაეხმარა.

ნახევარფინალში კი „რეალთან“ გადამწყვეტი გოლის გატანაში დიდ როლი ითამაშა (საგოლე პასი).

ანდრეა პირლო („იუვენტუსი“, იტალია).

ჩემპიონთა ლიგაში პირლომ მე-100 მატჩი პირეოსის „ოლიმპიაკოსთან“ გამართა და იმ მატჩში გოლიც გაიტანა.

პირლო ზედიზედ მესამედ გახდა იტალიის საუკეთესო ფეხბურთელი, სეზონი კი სკუდეტოსა და იტალიის თასის მოგებით დაასრულა.

კრიშტიანუ რონალდუ („რეალი“, პორტუგალია).

პორტუგალიელმა ვარსკვლავმა ლა ლიგის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული 48 გოლით მოიგო, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში ბომბარდირობა ორ ფეხბურთელთან ერთად გაინაწილა.

„გრანადას“ წინააღმდეგ მატჩში მან 5 გოლი გაიტანა, რაც კარიერაში პირველად მოახერხა, ხოლო სეზონი ზედიზედ სამი ჰეთ-თრიქით დაასრულა („ესპანიოლთან“, „ხეტაფესთან“ და სომხეთის ნაკრებთან).

ლუის სუარესი („ბარსელონა“, ურუგვაი).

ნეიმართან და მესისთან ერთად სუარესმა შესანიშნავი შემტევი ტრიო შექმნა. მათ ჯამში სეზონში 122 გოლის გატანა მოახერხეს.

კარლოს ტევესი („იუვენტუსი“, არგენტინა).

არგენტინელმა კარლოს ტევესმა სერია A-ში 20 გოლი გაიტანა. ასეთი მაღალი შედეგიანობა მას 2009-2010 წლების სეზონის შემდეგ არ ჰქონია.

ჩემპიონთა ლიგაში თავის გამოჩენა 7-ჯერ მოახერხა.

არტურო ვიდალი („იუვენტუსი“, ჩილე).

2 მაისს ვიდალის გოლმა „სამპდორიას“ კარში „იუვეს“ სკუდეტო ოფიციალურად გაუფორმა.

ჩილეს ნაკრებთან ერთად მან კოპა ამერიკა პირველად მოიგო, რომელშიც 3 გოლი გაიტანა.

უეფას მიერ საუკეთესოდ აღიარებული ფეხბურთელები ბოლო 4 წლის მონაცემებით:

ლიონელ მესი (2011), ანდრეს ინიესტა (2012), ფრენკ რიბერი (2013), კრიშტიანუ რონალდუ (2014).

მანუჩარ გიორგაძე

◎ ინტერნეტიდან

გადარეული მელანი სლადი

წარმოშობით რუმინელი მოდელი მელანი სლადი, რომელმაც სახელი მის თანამემამულე ადრიან მუტუსთან და შემდეგ უკვე თეო უოლკოტთან გაჩაღებული რომანებით გაითქვა, ფეხბურთელებთან დაშორების შემდეგ არაერთ სხვადასხვა გაბარიტებისა და შეძლების მქონე მამაკაცს დაეჯაჯგურა და კიდეც დასძალა.

მელანი სლადის სექს-გრიგალიანი ცხოვრების ერთი ეტაპი ჯერ კიდევ შარშან დასრულდა, როდესაც ამ ვლახმა ქალმა ყველასთვის მოულოდნელად განაგდო ფოტომოდელობა, ეროტიკულ ფილმში გადაღებაზე განაცხადა თანხმობა და მკერდმოთამაშე მსახიობის როლი ისე კოხტად მოირგო — თქვენი მოწონებული.

როგორც ჩანს, მელანი არც ეროტიკულმა ფილმებმა დააკმაყოფილა და ახლა იძახის, მე ქალი არ ვიყო, თუ პორნოფილმში ფეხები არ ავპლაკო და უკადრებელი არ ვიკადროო. მისი თავტან-ფეხ-მკერდ-ყელ-ყური მისია და რასაც უნდა იმას უზამს, მაგრამ მაინც რომ არ ვკითხოთ, არ შეიძლება: რათა შვილო, რათა?..

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ეპოქის დასასრული

გარდაიცვალა ალსიდეს გიჯა

88 წლისა გარდაიცვალა ლეგენდარული ურუგვაელი ფეხბურთელი ალსიდეს გიჯა. ის გახლდათ ადამიანი, რომელმაც 1950 წლის 16 ივლისს სრულიად ბრაზილია შოკში ჩააგდო: მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, 78-ე წუთზე გაუტანა მასპინძლებს და ურუგვაიმ ამ გოლით 2:1 მოიგო. „მარაკანაზე“, სადაც 204 000 გულშემატკივარი იყო, ზოგიერთს გული გაუსკდა და არაოფიციალური ცნობებით, ათასობით ადამიანი საავადმყოფოში მოათავსეს.

16 ივლისს გაიტანა ის საჩემპიონო გოლი და 65 წლის შემდეგ, ზუსტად 16 ივლისს დაიღუპა...

გიჯა „პენიაროლში“, „დანუბიოში“, „მილანსა“ და „რომაში“ გამოდიოდა. ურუგვაის გარდა, მოგვიანებით იტალიის ნაკრებშიც ითამაშა.

რომ არა გიჯას ის გოლი, ჩემპიონი ბრაზილია გახდებოდა, რადგან ფრე ხელს აძლევდა. დიახ, ოთხგუნდიანი ფინალური ჯგუფი იყო და ბოლო მატჩის წინ ბრაზილიას მეტი ქულა ჰქონდა აქტივში. ანგარიში 1:1 იყო, გიჯამ შეტევის მარჯვენა ფლანგზე მიიღო ბურთი, წინ გაიგდო და ახლო კუთხეში დაბალი დარტყმით გაუტანა მეკარე ბარბოზას.

კობა კობახიძე

◎ ტერორიზმის მსხვერპლნი

საქართველომ კარი გაუღო ასირიელ დევნილებს!

„ა0-ს0-ს0“ და სხვა ტერორისტული დაჯგუფების მიერ მართლმადიდებელი ასირიელების წამებისა და მკვლელობის შემზარავმა ფაქტებმა მსოფლიო შეძრა. საზოგადოების ნაწილმა ხელისუფლებისგან ასირიელებისთვის თავშესაფრის მიცემა მოითხოვა. როგორც აღმოჩნდა, ხელისუფლებამ საზოგადოების მოთხოვნას შესაბამისი ნაბიჯით უპასუხა და როგორც ასურელების სულიერი მოძღვარი, მამა სერაფიმე აცხადებს, ხელისუფლებამ კარი გაუღო მათ.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ 500-მდე ქართულმა ოჯახმა სურვილი გამოთქვა ასურელი ბავშვები ეშვილათ. ბავშვების შვილად აყვანის საკითხი აქტუალური მას შემდეგ გახდა, რაც ტერორისტებმა გავრცელეს ვიდეო, როგორ კვეთდნენ თავს ბაშვებს. ინტერნეტში გავრცელდა ასურელი ბავშვების მიმართვაც, სადაც ისინი იმ საშინელებების შესახებ ყვებოდნენ, რაც თავად ნახეს და შველას ითხოვდნენ. კადრებში ჩანდა ასეულობით მოკლული და ჩამომხრჩვალი ბავშვი, თავმოკვეთილი და ჯვარზე გაკრული ქრისტიანები. როგორც აღმოჩნდა ეს რამდენიმე წლის წინანდელი კადრები, იყო, თუმცა, ეს იყო შემზარავი რეალობა.



რამდენმა ასურელმა შეაფარა თავი საქართველოს, რატომ არ მოხდა ბავშვების შვილად აყვანა და დატოვებს თუ არა საქართველოს? ამ საკითხებთან დაკავშირებით ასირიელების სულიერი მოძღვარი მამა სერაფიმე გვესაუბრება.

— ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა იმ აუდიო-მასალებს, რომელიც ბავშვების მკვლელობის ფაქტს ასახავდა. მაშინ მთელი საქართველო მთავრობის დონეზე გაერთიანდა ამ ძალადობის წინააღმდეგ, თუმცა, დღეს ეს თემა უკვე აღარ არის აქტუალური. რა ხდება, მართლმადიდებელი ასირიელების წინაალმდეგ ძალადობა შეჩერდა?

— საქართველოს მთავრობამ ყველაფერი გააკეთა, რისი საშუალებაც ჰქონდათ — რაც მთავარია, კარი გაუღო ყველა იმ დევნილს, ვინც ახლო აღმოსავლეთში მოჰყვა ამ ჯოჯოხეთში. საქართველოში ჩამოვიდა უამრავი ხალხი და არა მარტო ასურელები, არამედ სხვადასხვა ერის წარმომადგენლები. მადლობა ღმერთს და მადლობა ჩვენს მთავრობას, რომელმაც გამოიჩინა ძალისხმევა, რომ რამენაირად დახმარებოდა ამ ხალხს. ხელისუფლებამ გააკეთა ის, რაც მას ევალებოდა — კარი გაუღო ამ ხალხს.

— დაახლოებით რამდენი ადამიანი ჩამოვიდა საქართველოში?

— დაახლოებით 2000-მდე ადამიანი ჩამოვიდა. ესენი იყვნენ არა მარტო ასურელები, არამედ არაბები, ქურთები და ა.შ. საქართველოსთან ერთად ამ ხალხს კარი გაუღო ევროპამ და ამ ხალხმა აირჩია ევროპაში წასვლა. იქ მათ მარტო პენსიის სახით 450 ევრო დაუნიშნეს, გარდა ამისა, მათ ჰქონდათ მუშაობის უფლებაც. ამიტომაც ნაკადი წავიდა ევროპისკენ. მე ყოველთვის ცალსახად და ღიად აღვნიშნავდი, რომ საქართველოს დევნილთა ნაკადი არ მოაწყდებოდა. ჩვენი მიზანი იყო, რომ საქართველოს კარი გაეღო იმ დევნილთათვის, რომლებიც იტანჯებიან და იწამებიან ქრისტეს სახელისთვის და, მთავრობამ მათ კარი გაუღო. იცით, რომ ომი ახლო აღმოსავლეთში ისევ მიმდინარეობს და თუ რომელიმე დევნილი გადაწყვეტს, რომ საქართველოში ჩამოვიდეს, საქართველო მას ღებულობს. ამჟამად საქართველოში 2 თუ 3 ასურელი ოჯახია.

— ანუ, ისინი დასახლდნენ საქართველოში?

— დიახ, თბილისში დასახლდნენ. საქართველოს ისინი უკან არ გაუყრია, მაგრამ მათაც თქვეს, რომ ჩვენ ევროპა გვირჩევნია, თავს უფრო დაცულად ვგრძობთო, ეს მომენტი იყო.

— რაც შეეხება ბავშვების შვილად აყვანის თემას, 500-მდე ოჯახი მზად იყო, რომ ეშვილათ ბავშვები, რომლებსაც მშობლები არ ჰყავდათ. მაგრამ, ეს მხოლოდ სურვილად დარჩა.

— ბავშვებს, რომელთაც არ ჰყავთ ოჯახი, მეზობლების იმედად არიან და მეზობლებთან ერთად გამოიარეს ის ჯოჯოხეთი. ამიტომ, ის მეზობელი ამ ბავშვს სხვა ადამიანს არ მისცემს. ეს არარსებული ფაქტი იყო და ამის შესახებ თავიდანვე აღვნიშნე. არ აქვს მნიშვნელობა ბავშვია თუ ხანდაზმული, თუ იგი იდევნება სხვადასხვა მიზნის გამო, საქართველო მას ღებულობს როგორც დევნილს. საქართველო დაგვიდგა გვერდით, ასურელების ტკივილი თავის ტკივილად აღიარა.

— ბავშვების გაშვილება იყო გამოსავალი? ბევრს საუბრობდნენ მაშინ, რომ ამ ბავშვების ადაპტირება გაჭირდებოდა.

— პაპაჩემი იყო რეპრესირებული და ამიტომ მამაჩემი ციმბირში დაიბადა. 9 წლის ასაკში ჩამოვიდა საქართველოში. თვლის, რომ ქართული ადათ-წესებით არის გაზრდილი და საქართველო არის მისი სამშობლო. მთავარი იყო ის, რომ ჩვენი მხრიდან კარი გაიღო და მსურველს ჰქონდათ საშუალება, ამ ღია კარში შემოსულიყო. ამ ღია კარში ბევრი შემოვიდა და ბევრი დანუგეშდა.

— ფაქტია, რომ ომი გრძელდება, დღეს რა მდგომარეობაა, მართლმადიდებელი ასურელების წამებისა და მკვლელობის შემზარავი ფაქტები ისევ გრძელდება?

— ეს ძალადობა არ ეხებათ მხოლოდ ქრისტიანებს, ეს ეხება ყველას, ვინც მათ იდეოლოგიას არ ეთანხმება. ის კადრები, რომელიც ტელევიზიით გავრცელდა, მე მაშინ აღვნიშნე, არ გეგონოთ, რომ ეს არის გუშინდელი, ის შეიძლება იყოს შარშანდელი ან შარშანწინდელიც.

— საინტერესოა, აქამდე რატომ არ გაავრცელეს ეს კადრები?

— უბრალოდ, ახლა მოაღწია ჩვენამდე. აქამდე ბევრი რამე დაფარული იყო, ჩვენამდე ვერ აღწევდა. მთელმა მსოფლიომ ამოიღო ხმა, როდესაც ასურელების კულტურული ძეგლების დანგრევის კადრები გავრცელდა. ჩვენ გვეგონა, რომ ეს ახლა მოხდა, მაგრამ ეს მოხდა შარშან. არასწორია ინფორმაცია, როდესაც ამბობენ, რომ მამა სერაფიმეს აწვდიან წამების ვიდეო-ჩანაწერებსო. სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ არის ასეთი გვერდი „ჩვენ ვართ ასურელები“ და „13 წმინდა ასურელი მამის მონასტერი“, სადაც ყველა ასურელები ერთმანეთს ვუკავშირდებით, სწორედ მათ აწვდიან ამ კადრებს. აი, ამ ღია სივრცეში ყოველთვის ვრცელდებოდა ეს ინფორმაცია.

— როდის დაიდო პირველი ინფორმაცია?

— ეს იყო 2010 წელი. მაშინ ვთქვი, რომ მოხდა თავდასხმა ეკლესიაზე, მოკლეს მღვდელი, დიაკონი და დაცხრილეს ეკლესია. მაგრამ, სამწუხაროდ 4 წლის წინ არავინ ამის შესახებ არ გამომხმაურებია. მხოლოდ ხალხი წერდა, რომ ეს არის დიდი ტრაგედია.

— სტატისტიკა თუ არსებობს, სარწმუნოების ნიადაგზე რამდენი ადამიანი არის მოკლული?

— სამწუხაროდ, ეს სტატისტიკა ჩვენ არ გვაქვს. მაგრამ ერთ რამეს ვიტყვი, 2 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა ერაყში და აქედან მილიონ 600.000-მა ადამიანმა ერაყი დატოვა. ეს სტატისტიკა იმაზე მეტყველებს, თუ რამხელა საშიშროება იყო... ხალხი წავიდა ევროპაში. დევნილების დიდი ნაკადი მიიღო ავსტრალიამ და გერმანიამ. ავსტრალიიდან მწერენ ჩამოდით, ჩვენთან იყავითო.

— აპირებთ წასვლას?

— არა, რა თქმა უნდა. მამა ასურელი მყავს, მაგრამ დედა ქართველი... აქ დავიბადე და გავიზარდე, და თუკი უფლის ნება იქნება, აქ უნდა დავლიო სული. ჩემს სხეულში ორი სისხლი დუღს — ასურელის და ქართველის. ჩემთვის სიმბოლურია, რომ ასურელი მღვდელი ვმსახურობ საქართველოში და ამავე დროს ვემსახურები ასურელ ერს.

თამთა ქარჩავა

შვილები მანანა, მაია ჯაბუები, შვილიშვილები თამარ, ლუკა, დათო, ანი მეგი, დები ლეილა, მზიური, ძმა ზაურ გუგუშვილები, რძალი ნანა ჯღარკავა-ჯაბუა, სიძეები დაზმირ მალანია, მერაბ შელია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვერა (ლუიზა) გუგუშვილი-ჯაბუა

დაკრძალვა 21 VII, გამოსვენება 16 სთ. სოფელი ინგირი, ზუგდიდის რაიონი.

◎ რეგიონი

ბორჯომში გზების რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ინფორმაციით, ბორჯომში გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები გრძელდება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ბორჯომის მუნიციპალიტეტიდან აცნობეს, დღეს მიმდინარეობს „9 აპრილის“ ქუჩის კეთილმოწყობასთან დაკავშირებული სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც რეაბილიტაცია უტარდება როგორც სამანქანო, ასევე საფეხმავლო გზასა და მის გასწვრივ არსებულ მოაჯირებს. აღნიშნული სამუშაოები ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება.

მუნიციპალიტეტის განცხადებით, ბორჯომში დაიწყო ხანძთელის, შრომისა და რუსთაველის ქუჩების მოასფალტების პროცესიც, რომელსაც ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით, შპს „რემშენი ბორჯომი“ ახორციელებს.

მუნიციპალიტეტის ინფორმაციით, დაბა ბაკურიანში მიმდინარეობს ცენტრალური მაგისტრალისა და რესპუბლიკური გზების მოასფალტება. ახლახანს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ სოფლებში ცემსა და სადგერში და პლატოს ტერიტორიაზე დასრულდა ცენტრალური გზების რეაბილიტაცია (ე.წ. ჩაკერებები) უახლოეს მომავალში კი სოფელ ცემში შიდა გზების მოასფალტებაა დაგეგმილი.



◎ ინფორმაცია

სასწავლებლად უცხოეთში გაემგზავრებიან

განათლების საერთაშორისო ცენტრში 2015-2016 სასწავლო წლისთვის საზღვარგარეთ სწავლის მსურველების შერჩევა დასრულდა.

განათლების საერთაშორისო ცენტრის ინფორმაციით, წელს სასურველ უმაღლეს სასწავლებელში სწავლას 115 ახალგაზრდა გააგრძელებს. პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, წარმატებულ აპლიკანტებს ნაწილობრივ ან სრულად დაუფინანსდებათ უცხოეთში სწავლისა და/ან საცხოვრებელ ხარჯები. საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის გამარჯვებულები კი მათ მიერ შერჩეულ გადამზადების პროგრამებზე დაფინანსდებიან.

გამარჯვებულები ქვეყნისთვის პრიორიტეტული პროგრამული მიმართულებების გათვალიწინებით შეირჩნენ. ეს პრიორიტეტებია — აგრარული მეცნიერებანი; განათლება; ინჟინერია; მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; სოციალური მეცნიერებები; ჰუმანიტარული მეცნიერებანი; სამართალი და ბიზნესის ადმინისტრირება.

განათლების საერთაშორისო ცენტრის ცნობით, საქართველოს 115 მოქალაქე შვეიცარიის, შვედეთის, უნგრეთის, საფრანგეთის, პოლონეთის, ნიდერლანდების, ლიტვის, ჩინეთის, კანადის, იტალიის, ესტონეთის, ესპანეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და ამერიკის შეერთებული შტატების წამყვან უნივერსიტეტებში სამაგისტრო და სადოქტორო ხარისხს მიიღებს.

სახელმწიფოს დაფინანსებით სწავლის დასრულების შემდგომ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულები საქართველოში დაბრუნდებიან და მიღებულ ცოდნას ქვეყნის განვითარებას მოახმარენ.

დაფინანსების მოპოვების მსურველებს ელექტრონული აპლიკაციის შევსება 2 თვის მანძილზე შეეძლოთ. სულ 2015-2016 აკადემიური წლის კონკურსისათვის 1317 მონაწილემ გაიარა რეგისტრაცია.

საქველმოქმედო აქცია განმუხურის აკვაპარკ „აკვა ლაზიკაში“

ზუგდიდის რაიონული პროკურატურის ორგანიზებით, განმუხურის აკვაპარკ „აკვა ლაზიკაში“ საქველმოქმედო აქცია გაიმართა.

სამოცამდე არასრულწლოვანი, კერძოდ, ჩხოროწყუს №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები, „SOS ბავშვთა სოფელი ზუგდიდის“ დღის ცენტრისა და ჩხოროწყუს საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელები ერთი დღით განმუხურის აკვაპარკს ესტუმრნენ. პროექტის ფარგლებში ბავშვებმა ისარგებლეს ატრაქციონებით, საცურაო აუზით და მხიარულად გაატარეს დრო თანატოლებთან ერთად.

ღონისძიება პროექტ „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში ჩატარდა და მისი მიზანია ბავშვების სოციალური ჩართულობის გაზრდა და საზოგადოებაში ინტეგრაცია, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულირაზაცია და სამართალდამცავი ორგანოების ნდობის ამაღლება საზოგადოებაში.

◎ სულიერება

ათანასე ათონელი – დედით კოლხი

18 ივლისს საქართველოს მართლმადიდებელი წმინდა სამოციქულო ეკლესია წმიდა მოძღვარს ათანასე ათონელს იხსენიებს.

...ათანასე ადრე დაობლებულა და პატარაობიდანვე იზრდებოდა კეთილი მონაზვნის გვერდით. მალე ის კონსტანტინოპოლში გამოჩენილი მჭევრმეტყველ ათანასესთვის მიუბარებიათ.

წმინდა ათანასემ მიატოვა თავისი სახლი და კიმინსკის მონასტერში ბერად აღიკვეცა.

დღედაღამ შრომით, ხანგრძლივი მარხვით, ღამისთევით, მუხლმოდრეკით ათანასემ ისეთ სრულყოფილებას მიაღწია, რომ წმინდა იღუმენმა იგი აკურთხა მდუმარების ღვაწლზე, მონასტრიდან მოშორებით.

ათანასე ათონელმა ათონის მთაზე ააშენა მრავალი ტაძარი, კელია, სატრაპეზო, საავადმყოფო და მოგზაურთა მისაღები.

წმინდანს ღმრთისგან მიღებული ჰქონდა კურნებისა და სასწაულმოქმედების ნიჭი...

ამბობენ, რომ ერთხელ შიმშილობისას, ათანასეს დედა ღვთისმშობელი გამოეცხადა და უბრძანა მას კვერთხი დაერტყა ქვისთვის, რის შემდეგაც, ნაპრალიდან ამოხეთქა სუფთა წყარომ, რომელიც დღესაც კურნავს ადამიანებს!

ახლა კი, მის მადლს რაც შეეხება – იმ სასწაულებრივ მადლთაგან, რომელიც ათანასეს ჰქონდა მინიჭებული, განსაკუთრებით გამოირჩევა სწრაფი დახმარებით საზღვარკვეთილებაში ჩავარდნილი ადამიანების მიმართ.

მოძღვარმა იწინასწარმეტყველა თავისი გარდაცვალების დღე. მან საბოლოოდ დამოძღვრა და დაამშვიდა თავისი საძმო, შევიდა თავის კელიაში, შეიმოსა მანტია და წმიდა კუნკულა, რომელსაც მხოლოდ დღესასწაულებზე იცვამდა, ლოცვის შემდეგ ტაძრის ზემოთ მშენებლობის დასათვალიერებლად ავიდა... უცბად, ტაძრის ზევითა ნაწილი ჩამოინგრა და იგი ნანგრევებში მოჰყვა...

საგულისხმოა, რომ ათანასე ათონელი დედით კოლხი იყო.

გიული ლიპარტია

ყურადღება!

იყიდება დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

იყიდება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლების წყაროებიდან სამოციოდე მეტრში მდებარე 2430 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, სადაც, სურვილისამებრ, ერთდროულად შეიძლება როგორც სანატორიუმის, ისე სამკურნალო-სააბაზანოს, ფიტნესკლუბის, კინოთეატრისა თუ სხვა ნაგებობათა აშენება. ყველა კომუნიკაცია არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 5 99 98 56 33; 599 37 00 35.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— ჩვენ, ექიმებს, ბევრი მტერი გვყავს ამქვეყნად... — ამბობს ქირურგი ბანკეტზე.

— იმქვეყნად გაცილებით მეტი გყავთ მტერი! — ისმის მაგიდიდან.

* * *

— ბრალდებულო, რატომ ესროლეთ გამყიდველს ქვა და რად გაუტეხეთ თავი?

— ბატონო მოსამართლევ, ეს ქვა კი არა, მისი „ახალგამომცხვარი ფუნთუშა“ იყო.

* * *

— წარმოგიდგენია, გუშინ ცოლს ვიღაც ფრანგთან წავასწარი სახლში.

— მერე რა უთხარი იმ ფრანგს?

— რას ვეტყოდი? მე ხომ სკოლაში ინგლისურს ვსწავლობდი.

* * *

მოშეს ასამართლებენ ფალსიფიცირებული ღვინით ვაჭრობისათვის. იგი ადვოკატს ვერ ენდობა და თავის თავს თავად იცავს:

— ბატონო მოსამართლევ, — ქიმიაში ერკვევით?

— არა, მე იურისტი ვარ.

— ბატონო, ექსპერტო, თქვენ ერკვევით კანონებში?

— არა, მე ქიმიკოსი ვარ.

— ბატონო მოსამართლევ, მაშ რას მერჩით მე, საწყალ ებრაელს?

გინდათ, რომ ერთშიც ვერკვეოდე და მეორეშიც?

სკანვორდი



რეკლამა
29 3-37-87;
568 82-09-84.
მაჩაბლის ქ. №7.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24